

ი. ჩეკმანი, თ. ცინცაძე

## ვარმაპოლობია

„ტექნიკური უნივერსიტეტი”

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ი. ჩეკმანი, თ. ცინცაძე

## ვარდაპოლობია



რეგისტრირებულია სტუ-ს

სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს

მიერ. 27.05.2009, ოქმი №5

თბილისი  
2009

სახელმძღვანელოს მეორე გადამუშავებული გამოცემაში, გადმოცემულია პრაქტიკული მეცანიერებების საკითხები (თეორიული მასალის გეგმა, სავალდებულო პრეპარატები, სასწავლო-სამეცნიერო სამუშაოები, დავალებები და კითხვები თვითშემოწმებისათვის, რეფერატები თემები). სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია საკონტროლო (რეიტინგის) სამუშაოს შესაძლო ფორმები და ვარიანტები.

სახელმძღვანელოს მეორე გადამუშავებულ გამოცემაში შევსებულია და დამუშავებულია საექიმო რეცეპტურა და სხვა თემები, დამატებულია შემოკლებების განმარტებები, მოცემულია ფარმაკოლოგიის ზოგადი ნაწილი, კერძო ნაწილი—აფერენტულ და ეფერენტულ ნერვულ დაბოლოებებზე მომქმედი საშუალებების, ცნს-ზე მომქმედი საშუალებების, შემსრულებელ ორგანოებზე მომქმედი საშუალებების, ქიმიოთერაპიული, ჰორმონული, ვიტამინური საშუალებების, სტომატოლოგიაში გამოყენებული საშუალებების ფარმაკოლოგია, საექიმო რეცეპტურა.

სახელმძღვანელო შედგენილია საკრედიტო სასწავლო გეგმის მიხედვით და გათვალისწინებულია "ფარმაციის" სპეციალობის მაგისტრატურის და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის  
ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,  
სრული პროფესორი ნ. ანთელავა

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2009  
ISBN 978-9941-14-605-3  
<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

## შესავალი

ფარმაკოლოგია (ბერ . *pharmacon* — წამალი, *logos* — მეცნიერება) შეისწავლის ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმზე სამკურნალო და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მოქმედებას.

ფარმაკოლოგია არის მეცნიერება წამლის მოქმედების მექანიზმების, მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების, ორგანიზმში შეყვანის გზების, ორგანიზმში განაწილების, გამოყოფის, დოზირების და საერთოდ, ორგანიზმისა და წამლის ყოველგვარი ურთიერთქმედების შესახებ.

ფარმაკოლოგია სამ ძირითად ნაწილს მოიცავს: თეორიულს (ზოგადი), ექსპერიმენტულს და კლინიკურს.

თეორიული (ზოგადი) ფარმაკოლოგია სწავლობს ორგანიზმსა და წამალს შორის ურთიერთქმედების ზოგად განხომილებებს, ქმნის ნივთიერების ფარმაკოთერაპიული ეფექტურობის მექანიზმების თეორიებსა და კონცეფციებს.

ექსპერიმენტული (სპეციალური) ფარმაკოლოგია სწავლობს ცხოველთა ორგანიზმზე ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ზეგავლენას და წარმოადგენს შემაკავშირებელ რგოლს თეორიულ და კლინიკურ ფარმაკოლოგიას შორის.

კლინიკური ფარმაკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს სამკურნალო საშუალებების გამოყენებას ადამიანის ორგანიზმზე.

ფარმაკოთერაპია (ბერ . *pharmacon* — წამალი, *therapeia* — მკურნალობა) — კონკრეტული დაავადებების სამკურნალოდ მედიკამენტების მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენება დაავადების ხანგრ ლიგობის, ფორმის, პათოლოგიური პროცესის სტადიის გათვალისწინებით.

ფარმაკოლოგიის სწრაფვა განვითარებამ XX საუკუნეში გამოიწვია მთელი რიგი მისი დარგების განვითარება. ასეთებია, ფიტოთერაპია (ბერ . ზრნეწთ — მცენარე) სწავლობს მცენარეების ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მოქმედებას ორგანიზმზე.

ტოქსიკოლოგია (ბერ . *toxikon* — შხამი) სწავლობს სამკურნალო საშუალებების ტოქსიკური მოქმედების მექანიზმს და ახდენს სამკურნალწამლო საშუალებებით მოწამვლის და სხვა ფარმაკოთერაპიური გართულებების თავიდან აცილების მეთოდების შემუშავებას.

ვიტამინოლოგია (ბერ . *vita* — სიცოცხლე) სწავლობს ვიტამინების სტრუქტურას და მათი მოქმედების მექანიზმს სამკურნალო და პროფილაქტიკური მიზნით.

ფარმაკოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული ფარმაციასთან (ბერ . *pharmakeia* — წამლების გამოყენება), რომელიც სწავლობს სამკურნალო ნივთიერებების )ძიების, მიღების ტექნოლოგიის, სტანდარტიზაციის, ხარისხის, შენახვის, გაცემის და მოსახლეობის მედიკამენტური უზრუნველყოფის ორგანიზაციის საკითხებს.

ემბრიოლოგის, პედიატრიის, გერონტოლოგიის და გერიატრიის გავითარების შედეგად წარმოიშვა ასაკრობრიგი ფარმაკოლოგია, რომელმაც პედიატრიული და გერიატრიული ფარმაკოლოგიის შექმნამდე მიგვიყვანა.

რაღიაციული ფარმაკოლოგია სწავლობს ცნობილი სამკურნალო ნივთიერებების მოქმედებას აღამიანის და ცხოველის ორგანიზმზე. რაღიაციული დაზიანებებისას ეჭებენ აგრეთვე ახალ რაღიოპროტექტორებს (ბერ . radiare — გამოსხივება, protector —დამცველი).

**ბიოქიმიური ფარმაკოლოგია** სწავლობს სამკურნალო საშუალებების ბიოსუფსტრატთან ურთიერთქმედებისას ნივთიერებათა ცვლის ცვლილებას აღამიანისა და ცხოველთა ქსოვილებში და ორგანოებში.

**ფიზიურ-ქიმიური ფარმაკოლოგია** სწავლობს სამკურნალო ნივთიერებების ორგანიზმში შეყვანისას მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიურ რეაქციებს (კომპლექს-წარმოქმნა, აბსორბცია და კატალიზი).

**კვანტურ-ქიმიური ფარმაკოლოგია** სწავლობს ორგანიზმი სამკურნალო საშუალებების მოქმედების შედეგად მიმდინარე კვანტურ-ქიმიურ პროცესებს.

# თემა №1

შესაგალი საექიმო რეცეპტურაში. რეცეპტის გამოყენის  
ფისები ამგულატორიული ავადმყოფებისათვის

## მკვრივი სამკურნალო ამლობრივი ფორმები

### პირითადი პითხები

1. ცნებების განსაზღვრებები: სამკურნალო ნივთიერება, საშუალება, პრე-პარატი, სამკურნალო ფორმა.
2. რეცეპტი როგორც სამედიცინო, იურიდიული და ფინანსური დოკუმენტი. მისი სტრუქტურა.
3. რეცეპტის გამოწერის და ამ რეცეპტებით წამლების გაცემის წესები ამბულატორიული ავადმყოფებისათვის.
4. რეცეპტის ბლანკების ფორმები, მათი გამოყენება და შენახვა.
5. წამლების რეცეპტებში გამოწერის ზოგადი წესები ამბულატორიული ავადმყოფებისათვის.
6. აფთიაქის სტრუქტურა და ფუნქციები.
7. ნარკოტიკული საშუალებების შენახვის, გამოწერის და გაცემის წესები.
8. შხამიანი და ძლიერმოქმედი საშუალებების შენახვის, გამოწერის და გაცემის წესები.
9. უფასო და შედავათიანი პირობებით წამლების გამოწერის და გაცემის წესები, ასევე „სპეციალური დანიშნულების“ წამლების გამოწერის და გაცემის წესები.
10. პრეპარატები, რომელთა გამოწერა ამბულატორიული ავადმყოფებისათვის აკრძალულია.
11. სამკურნალო საშუალებების მიღების წყაროები. გალენური და ნეოგალენური პრეპარატები.
12. სახელმწიფო ფარმაკოპეა. მისი შინაარსი და დანიშნულება.
13. სამკურნალო საშუალებების ნომენკლატურა.
14. სამკურნალო ფორმების კლასიფიკაცია. ოფიცინალური და მაგისტრალური რეცეპტები.
15. მკვრივი სამკურნალო ფორმების დახასიათება და კლასიფიკაცია.
16. მარტივი დოზირებული და არადოზირებული ფხვნილების გამოწერის წესები.
17. როგორ დოზირებული და არადოზირებული ფხვნილების გამოწერის წესები.

18. დოზირებული ფხვნილების მაქსიმალური და მინიმალური მასა, მცენარეული ნედლეულიდან მიღებული ფხვნილები.
19. ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ფუძის სახით გარეგანი და შინაგანი მოხმარების წამლებისათვის.
20. კაფსულების დახასიათება და დანიშნულება.
21. ტაბლეტების და დრაჟეების დახასიათება. მათი გამოწერის წესები.

## **სასტატლო-სამეცნიერო სამუშაო**

### **დავალება 1**

გაეცანი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1997 წლის 14 ივლისის №261/ო ბრძანებულებას, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1998 წლის 13 მაისის 1881 წლის ბრძანებას, საქართველოს კანონს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“. ყურადღება მიაქციეთ სამკურნალო პრეპარატებს, რომლების გამოწერა ამბულატორიული ავადმყოფი-სათვის აკრძალულია, ასევე საშუალებებს, რომლებიც აფთიაქიდან გაიცემა რეცეპტის გარეშე. ამოწერეთ რეცეპტურაში გამოყენებული მნიშვნელოვანი შემოკლებები.

### **დავალება 2**

შეისწავლეთ სამკურნალო საშუალებების ნომენკლატურა.

### **დავალება 3**

გაეცანით საქართველოს სახელმწიფო ფარმაკოპეის ზოგიერთ სტატიას.

### **დავალება 4**

გაეცანით რეცეპტურის ბლანკებს №1, 2 და 3, სიგნატურის ფორმებს.

### **დავალება 5**

შეისწავლეთ რეცეპტის შემადგენელი ნაწილები.

### **დავალება 6**

გამოწერეთ 20 გ მოსაყრელი, რომელიც შედგება 10% სტრეპტოციდისაგან (Streptocidum) და გააკეთეთ რეცეპტის სტრუქტურული ანალიზი.

## **დაგალება 7**

გამოწერეთ 20 გ ნატრიუმის ჰიდროკარბონატი (Natrii hydrocarbonas). სიგნატურაში მიუთითეთ: მიიღე 1/2 ჩაის კოვზი კუჭის წვის შეგრძნების დროს.

## **დაგალება 8**

გამოწერეთ პანკრეატინის (Pancreatinum) 0,5 გ-იანი 12 ფხვნილი. დანიშნეთ 1 ფხვნილი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

## **დაგალება 9**

რგეულში ლათინურ ენაზე ჩამოთვალეთ ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენებიან ფხვნილებში, როგორც Constituens და Corrigens.

## **დაგალება 10**

გამოწერეთ 50 გ მოსაყრელი, რომელიც შედგება 5% სალიცილის მჟავასაგან (Acidum Salicylicum). სიგნატურაში მიუთითეთ: „მოაყარეთ კანის დაზიანებულ უბნებს“.

## **დაგალება 11**

გამოწერეთ დიაზოლინის (Diazolinum) 0,05 გ-იანი 10 ფხვნილი. დანიშნეთ 1 ფხვნილი 2-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

## **დაგალება 12**

გადაწერეთ რგეულში ცხრილი. მიაქციეთ ყურადღება განსხვავებას ფხვნილებში მასასა და შედგენილობასთან დაკავშირებით.

ფხვნილები	მასა, გ	Constituens
არადოზირებული მარტივი	5-100 და მეტი	-----
არადოზირებული რთული	5-100 და მეტი	Amylum, Talcum, Bolus alba, Zinci oxydum
დოზირებული მარტივი	0,1-1; 0,05-1 (მცენარეული)	-----
დოზირებული რთული	0,1-1; 0,05-1 (მცენარეული)	Saccharum Saccharum lactus, Pulvis Clycyrrhizae

## **დავალება 13**

გამოწერეთ 50 ტაბლეტი პრედნიზოლონი (Prednisolonum) 0,005 გ. დანიშნეთ თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

## **დავალება 14**

გამოწერეთ ამინიზინის (Aminazinum) 0,025 გ-იანი 20 დრაუ. დანიშნეთ თითო დრაუ 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

## **დავალება 15**

გამოწერეთ ოქსაცილინის-ნატრიუმის მარილის (Oxacillinum-natrium) 0,25 გ-იანი 50 კაფსულა. დანიშნეთ 2 კაფსულა 4-ჯერ დღეში.

## **დავალება 16**

გამოწერეთ ქაფურის (Camphora) 0,2 გ-იანი 10 ფხვნილი გასანთლულ ქაღალდში (Charta cerata).

## **დავალება 17**

გამოწერეთ რთული არადოზირებული ფხვნილები და გამოიყენეთ ფორმის მიმცემი ინდიფერენტული საშუალებები: ფეტვის სახამებელი (Amylum Titici), სიმინდის სახამებელი (Amylum Myidis), კარტოფილის სახამებელი (Amylum Solani), ბრინჯის სახამებელი (Amylum Oryzae), თეთრი თიხა (კაოლინი) (Bolus alba), ტალკი (მაგნიუმის სილიკატი) (Talcum), პლაუნას სპორები (Lycopodium).

## **დავალება 18**

გამოწერეთ შინაგანი მოხმარებისთვის რთული დოზირებული ფხვნილები და გამოიყენეთ ფორმის მიმცემი საშუალებები: ლერწმის ან ჭარხლის შაქარი (Saccarum), გლუკოზა (Glucozum), ძირტკბილას ფესვების ფხვნილი (Pulvis Glycyrrhizae)

## **დავალება 19**

გამოწერეთ 20 კარამელი, რომელიც შეიცავს 0,00015გ დეკამინს (Decaminum). დანიშნეთ თითო კარამელი 4-ჯერ დღეში ენისქვეშ.

## **დავალება 20**

გამოწერეთ ფეოსპანის (Feospanum) 100 სპანსულა.. დანიშნეთ თითო სპანსულა 3-ჯერ დღეში.

## **თემა №2**

# რბილი სამკურნალწამლო ფორმები

## ძირითადი პილევები

1. რბილი სამკურნალო ფორმების ზოგადი დახასიათება.
2. სუპოზიტორიების დახასიათება, სახეები და დანიშნულება. ნივთიერებები რომლებიც გამოიყენება სუპოზიტორიების დასამზადებლად, როგორც ფუძეები.
3. სუპოზიტორიების რეცეპტში გამოწერის წესები.
4. მალამოების და პასტების დახასიათება, განსხვავება მათ შორის. ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება მალამოების და პასტების დასამზადებლად, როგორც ფუძეები.
5. მალამოების და პასტების რეცეპტში გამოწერის წესები.
6. თხევადი მალამოების (ლინიმენტები) დახასიათება, მათი სახეები, დანიშნულება და რეცეპტში გამოწერის წესები.
7. პლასტირები და მათი დანიშნულება.
8. ოფიცინალური რბილი სამკურნალწამლო ფორმების რეცეპტში გამოწერის თავისებურებები.

## მეცადინეობისთვის მომზადება

გამოწერეთ რეცეპტები გაშლილი და შემოკლებული სახით:

1. მაგნიუმის ოქსიდი (Magnesii oxydum) არადოზირებული ფხვნილების სახით. დანიშნეთ შიგნით 1/2 ჩაის კოვზი ჭამის შემდეგ.
2. 50 გ მოსაყრელი, რომელიც შედგება 3% ანესთეზინის (Anaesthesinum), 10% თუთიის ოქსიდისაგან (Zinci oxydum).
3. 20 ფხვნილი და ტაბლეტი, რომელიც შეიცავს 0,5 გ ნატრიუმის ჰიდროკარბონატს (Natrii hydrocarbonas). დანიშნეთ თითო ფხვნილი (ტაბლეტი) კუჭის წვის შეგრძნების დროს.
4. 10 ფხვნილი, რომელიც შეიცავს 0,015 გ შმაგას ექსტრაქტს (Extactum Belladonnae siccum), 0,25-0,25 გ მაგნიუმის ოქსიდს (Magnesii oxydum) და ნატრიუმის ჰიდროკარბონატს (Natrii hydrocarbonas). დანიშნეთ თითო ფხვილი ჭამის შემდეგ.
5. 15 ფხვნილი და რექტალური სანთელი, რომელიც შეიცავს 0,05 გ სათითურას ფოთლების ფხვნილს (Pulvis folpii Digitalis). დანიშნეთ თითო ფხვნილი (სანთელი) 3-ჯერ დღეში.

6. რკინის ლაქტატის (Ferri lactas) 1 გ, 20 ფხვნილი კაფსულებში. დანიშნეთ 1 კაფსულა 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.
7. 30 ტაბლეტი, რომელიც შეიცავს 0,05 გ ასკორბინის მჟავას (Acidum ascorbinicum) და 0,002 გ ფოლის მჟავას (Acidum folinum). დანიშნეთ თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.
8. დიაზოლინის (Diazolinum) 0,1 გ-იანი 10 დრაუე. დანიშნეთ თითო დრაუე 2-ჯერ დღეში.
9. 10 გაგინალური სუპოზიტორია, რომელიც შეიცავს 0,25 გ იქტიოლს (Ichthyolum). დაინიშნეთ თითო სუპოზიტორია დამით. გაგინაში შესაყვანად.
10. 50გ მალამო და პასტა, რომელიც შედგება 10% ანესთეზინისაგან (Anaesthesinum). კანის დაზიანებულ უბნებზე წასასმელად.
11. 5გ თვალის მალამო, რომელიც შეადგება 1% ატროპინის სულფატისაგან (Atropini sulfas). დამით ორივე თვალის ქუთუთოს ქვეშ წასასმელად.
12. 5 გ ვერცხლისწყლის ყვითელი ჟანგის (Unguentum Hydrargyri oxydi flavi) ოფცინალური მალამო. თვალის მალამო. ორივე თვალის ქუთუთოს ქვეშ წავისვათ 2-ჯერ დღეში წასასმელად.
13. 40 მლ თხევადი მალამო, რომელიც შეადგება ლენცოფას ზეთისა (Oleum Hyoscyami) და მზესუმზირის ზეთისაგან (Oleum Helianthi) ტოლი რაოდენობით. კანზე შესაზელად.

## სასტაცლო-პლავილი სამუშაო

### დაგალება 1

გაეცანი საქართველოს სახელმწიფო ფარმაკოპეის რბილი სამკურნალწამლო ფორმების შესახებ სტატიის შინაარს.

### დაგალება 2

გამოწერეთ რეცეპტები გაშლილი და შემოკლებული სახით:

1. რექტალური სანთლები, რომელიც შეიცავს 0,5 გ ანესთეზინს (Anaesthesinum). თითო ცალი დღეში ერთხელ რექტალურად შესაყვანად.
2. ბორის მჟავას (Acidum boricum) 0,25 გ გაგინალური სანთლები თითო სანთელი დღეში ერთხელ გაგინაში შესაყვანად.
3. 50გ სტრეპტოციდის (Streptocidum) 10% მალამო და პასტა კანის დაზიანებულ უბნებზე წასასმელად.

4. 30გ მალამო, რომელის ყოველი გრამი შეიცავს 10000 ერთეულ ნისტატინის (Nistatinum). კანის დაზიანებულ უბნებზე წასასმელად.
5. 80გ თხევადი მალამო, რომელიც შეიცავს ამიაკის ხენარს (Solutio Amonii Caustici), გაწმენდილი სკიპიდარის ზეთს (Oleum Terebinthinae rectificatum) და სელის ზეთს (Oleum Lini) შეფარდებით 1:1:2 კანზე შესაზელად.
6. 50გ თუთიის ოფიცინალური მალამო (Unguentum Zinci) კანზე წასასმელად.
7. 25 გ სტრეპტოციდის ლინინმენტი (ემულსია) (Linimentum streptocidi 5%) ჭრილობაზე წასასმელად.

#### დაგალება 4

შეისწავლეთ ცხრილი, რომელშიც მოცემულია Constituens-ზე გარეგანი მოხმარების რბილი სამკურნალწამლო ფორმების დამოკიდებულება. ამ ცხრილში შემავალი ინფორმაცია საჭიროა გავითვალისწინოთ იმ საშუალებების დამზადებისას, რომელთაც ახასიათებთ რეზორბციული მოქმედება, შენახვისას მდგრადობა, ჰიგროსკოპულობა, რომელთა შედგენილობაში შედის მჟავა, ტუტე მინერალური ან ორგანული ნაერთები.

Constituens	შეწოვა	მდგრა-დობა	პიგროსკო-პულობა	შეთავსებადობა	
				მჟავეებთან, ტუტეებთან	მინერალურ და ორგანულ ნაერთებთან
Adeps suillus depuratus	+	-	-	-	+
Lanolinum	+	+	+	+	+
მცენარეული ზეთი (Ol. Helianthi, ol. Lini, ol. Hyoscyami)	-	+	-	-	+
Vaselinum	-	+	-	+	+
Unguentum Glycerini	-	-	-	-	+
Unguentum Naphtalani	-	+	+	+	+

#### დაგალება 5

შეისწავლეთ ცხრილი, რომელიც სწორად გამოიწერისა და ორიენტირების საშუალებას მოგვცემს თუ რომელ შემთხვევაში გამოიყენოთ რეცეპტის გამოწერის გაშლილი და შემოკლებული ფორმა.

მალამოს სახეები	მალამოების გამოწერის ფორმები	
	გაშლილი	შემოკლებული
ვაზელინზე დამზადებული მარტივი მალამოები	+	+
ოფცინალური რთული მალამოები და მალამოები, რომელთაც აქვთ პირო- ბითი სახელწოდება.	-	+
მარტივი მალამოები, რომელიც დამზ- ადებულია ლანოლინზე ან სხვა ფუ- ქეზე, გარდა ვაზელინისა.	+	-
მარტივი მალამოები, რომელიც დამზ- ადებულია ვაზელინზე და შეიცავს ერთეულებში დოზირებულ ნივთიერე- ბებს.	+	-
მაგისტრალური რთული მალამოები	+	-

## დავალება 6

გამოწერეთ სანთლები და გამოიყენეთ შემდეგი ფუძეები: კაკაოს ცხიმი(Oleum cacao), ბუტიროლი(Butyrolum), ჟელატინ-გლიცერინის (massa gelatinoza), სინთეზური მასა –პოლიეთოლენოქსიდი ( Polyaethylenoxydum)..

## დავალება 7

გამოწერეთ 0,3გ ეუფილინის(Euphyllinum) შემცელი 12 სანთელი. დანიშნეთ I სანთელი რექტალურად 3-ჯერ დღეში.

## დავალება 8

გამოწერეთ მალამოების რეცეპტები და გამოიყენეთ ფუძეებად:  
ვაზელინი(Vazelinum), ლანოლინი(Lanolinum), (ლანოლინი შეიძლება იყოს წყლიანი-  
hydricum და უწყლო-anhydricum), ღორის ქონი(Adeps suillus depuratus)

## **დავალება 9**

გამოწერეთ ოფიცინალური მალამოები: თუთიის მალამო(unguentum Zinci), გლიცერინის მალამო(unguentum Glycerini), გერცხლისწყლის ყვითელი ჟანგის მალამო(unguentum Hydrargyri oxydi), ნაფტალანის მალამო(unguentum Naphthalani).

## **დავალება 10**

გამოწერეთ 5% ანესტეზინის(Anaesthesinum) 50გ პასტა ვაზელინზე. დანიშნეთ კანის დაზიანებულ უბნებზე წასასმელად.

## **დავალება 11**

გამოწერეთ ლინიმენტების რეცეპტები და გამოიყენეთ ფუძეებად თხევადი ზეთები: ვაზელინის ზეთი(Oleum Vaselini), სელის ზეთი(Oleum Lini), მზესუმზირის ზეთი(Oleum Helianthi).

## **დავალება 11**

გამოწერეთ 5% თუთიის ოქსიდის (Zinci oxydatum) 50გ მალამო გლიცერინის მალამოს(unguentum Glycerini) ფუძეზე. დანიშნეთ კანის დაზიანებულ უბნებზე წასასმელად

## თემა №3

**თხევადი სამკურნალო ფორმები  
(ბარებანი და შინაგანი მოხმარების ხსნარები,  
საინექციო სამკურნალფამლო ფორმები)**

### პირითადი პითხვები

1. ხსნარების ზოგადი დახასიათება, როგორც სამკურნალწამლო ფორმა გარეგანი და შინაგანი მოხმარებისათვის. ოფიცინალური ხსნარები.
2. ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენებიან როგორც გამხსნელები. ხსნარების დამზადება. შინაგანი გამოყენების ხსნარების დოზირება. მიქსტურები.
3. ხსნარების გამოწერის ფორმები. ხსნარების კონცენტრაციის აღნიშვნის მეთოდები.
4. საინექციო სამკურნალო ფორმებისადმი წაყენებული მოთხოვნები.
5. საინექციო საშუალებების გამოშვების ფორმები.
6. გამხსნელები, რომლებიც გამოიყენება საინექციო ხსნარების დასამზადებლად.
7. საინექციო სამკურნალო ფორმების სტერილიზაციის მეთოდები.
8. საინექციო სამკურნალწამლო საშუალებების გამოწერის ფორმები.
9. თვალის წვეთები.

### მეცანეობისათვის მომზადება

გამოწერეთ რეცეპტები გაშლილი და შემოკლებული ფორმებით.

1. ეტაკრიდინის ლაქტატის (Aethacridini lactas) 0,1%-იანი 500მლ ხსნარი ჭრილობის მოსაბანად.
2. 20 მლ 1%-იან ბრილიანტის მწვანის (Viride nitens) სპირტიანი ხსნარი კანზე წასასმელად.
3. თვალის წვეთები 10 მლ, რომელიც შეიცავს 0,25% თუთიის სულფატს (Zinci sulfas) და 2% ბორის მჟავას (Acidum boricum). დაინიშნოს 2-2 წვეთი 3-ჯერ დღეში თრივე თვალში.
4. 200 მლ 10% კალციუმის ქლორიდის (Calcii chloridum) ხსნარი დაინიშნოს ერთი სუფრის კოვზი დღეში.
5. ნატრიუმის ბრომიდი (Natrii bromidum) 1გ თითო მიღებაზე 180 მლ მოცულობის მიქსტურაში. დანიშნეთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

6. 5 მლ 0,5% ერგოკალციფეროლის (Ergocalciferolum) სპირტიანი ხსნარი. დაინიშნოს ორი წვეთი 2-ჯერ დღეში 2 წლის ბავშვს.
7. 10 ამპულა, რომელიც შეიცავს 1 მლ 0,1% ატროპინის სულფატის (Atropini Sulfas) ხსნარს, 1 მლ კანქვეშ შესაყვანად. განსაზღვრეთ სამკურნალო საშუალების ერთჯერადი დოზა.
8. 10 ამპულა, რომელიც შეიცავს 10 მლ 10% კალციუმის გლუკონატის (Calcii gluconas) ხსნარს, კუნთებში შესაყვანად. დანიშნეთ 5 მლ ერთხელ დღეში.
9. 10 ამპულა, რომელიც შეიცავს 20 მლ 40% გლუკოზის (Glucosum) ხსნარს ვენაში შესაყვანად. დანიშნეთ 20 მლ ერთხელ დღეში (შეიყვანეთ ნელა!).
10. 500 მლ გლუკოზის სტერილური იზოტონური ხსნარი ვენაში შესაყვანად.
11. 10 ფლაკონი, რომელიც შეიცავს 0,5 გ სტრეპტომიცინის სულფატს (Streptomycini sulfas). ფლაკონის შიგთავსი გაიხსნას 2,5 მლ საინექციო წყალში. შევიყვანოთ კუნთში 2,5 მლ 2-ჯერ დღეში.
12. 20 მლ 3% იოდის (Iodum) სპირტიანი ხსნარი დაინიშნოს კანზე წასასმელად.

## **სასტაცლო-პვლევითი სამუშაო**

### **დავალება 1**

გავეცნოთ სახელმწიფო ფარმაკოპეის თხევადი სამკურნალწამლო ფორმების შესახებ სტატიებს, ასევე მის განყოფილებებს (გამოცდა „პიროგენობასა და „სტერილიზაციაზე“).

### **დავალება 2**

რვეულში ლათინურ ენაზე ჩამოთვალეთ ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება როგორც გამხსნელები გარებანი და შინაგანი გამოყენების ხსნარების დასამზადებლად, ასევე საინექციო ფორმების დასამზადებლად.

### **დავალება 3**

გამოწერეთ გაშლილი და შემოკლებული ფორმებით.

1. 200 მლ 0,02% ფურაცილინის (Furacillinum) ხსნარი, რომელიც შეიცავს 0,02% ფურაცილინს (Furacillinum), ჭრილობის ჩამოსაბანად.
2. 1 მლ თვალის წვეთები, რომელიც შეიცავს 30% სულფაცილ-ნატრიუმს (Sulfacylum-natrium). დანიშნეთ 2-2 წვეთი ორივე თვალში 3-ჯერ დღეში.

3. 5 მლ 5% მენთოლის (Mentholum) სპირტიანი ხსნარი. დანიშნეთ 2-3 წვეთი ენის ქვეშ (შაქრის ნატებზე).
4. კალციუმის ქლორიდის (Calcii chloridum) ხსნარი, თითო მიღებაზე 0,5 გ. დანიშნეთ 1 სუფრის კოვზი მიქსტურა 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ 4 დღის განმავლობაში.
5. 10 თიამინის ქლორიდის (Thiamini chloridum) 1 მლ-იანი 2,5 % ხსნარის 10 ამპულა კუნთებში შესაყვანად დანიშნეთ 10 მლ 1-ჯერ დღეში.
6. 0,25 გ-იანი ოქსაცილინის ნატრიუმის მარილის (Oxacillinum-natrium) 12 ფლაკონი. ფლაკონის შიგთავსი გაიხსნას 2,5 მლ საინიქციო ხსნარში და გაპეტდეს კუნთებში. ყოველ 6 სთ-ში ერთხელ.
7. 100 მლ 0,5% ნოვოკაინის (Novocainum) ხსნარი მომზადებული ნატრიუმის ქლორიდის იზოტონურ ხსნარზე, პარანეფრალური ბლოკადისათვის ვიშნევსკის მიხედვით.
8. 20 მლ 10% ტანინის (Tanninum) გლიცერინზე (Glycerinum) დამზადებული ხსნარი ღრძილებზე წასასმელად.

#### **დაგალება 4**

გადაიწერეთ რვეულში და ისწავლეთ: გარეგანი და შინაგანი შეყვანისათვის უმრავლესობა სამკურნალწამლო საშუალებების გამხსნელებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს: საინიქციო წყალი (Aq. pro injectionibus), გაწმენდილი წყალი (aqua purificata), ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარი (solutionis Natrii chloridi isotoniciae), ნუშის ზეთი (oleum Amygdalarum), ატმის ზეთი (oleum Persicorum), ზეთუნის ზეთი (oleum Olivarum), მზესუმზირის ზეთი (oleum Helianthi), გლუკოზის 5% ხსნარი (solutionis Glucosi), ეთილის სპირიტი (spiritus aethilicus) და სხვა.

## თემა №4

### თხევადი სამკურნალო ფორმები

(ფაზები, ნაყოფი, თხევადი ექსტრაქტები, ცენტრალური პრეპარატები, გამონაცემები, გამონახარშები, მისატურნები, ემულსიები) ნაკრებები

### ძირითადი კითხვები

1. თხევადი სამკურნალო ფორმების დოზირება.
2. შიგნით მისაღები წევთები.
3. ნაყენი, მისი დახასიათება, მომზადების წესები, დოზირება, რეცეპტი გამოწერა.
4. ექსტრაქტი, მისი დახასიათება, სახეები, მომზადების წესები, დანიშვნა სხვადასხვა სამკურნალო ფორმებში. თხევადი ექსტრაქტების გამოწერის წესები.
5. გამონაცემების და გამონახარშების ზოგადი დახასიათება, განსხვავება დამზადებაში, გამოწერის ფორმები.
6. სამკურნალო ნაკრებების (მცენარეთა ნაკრებები Species) გამოყენება. გამოწერის წესები.
7. ემიულსიების ზოგადი დახასიათება, სახეები, შედგენილობა და დამზადება. გამოწერის წესები.
8. სუსპენზიები, მათი დახასიათება, განსხვავება ხსნარებისაგან, გამოყენება, გამოწერის წესები.
9. მიქსტურები, მათი დახასიათება და შედგენილობა. სიროფები, არომატული წყლები და ლორწოები როგორც მიქსტურის შემადგენელი ინგრედიენტები.
10. მიქსტურების გამოწერის ფორმები, მათი დოზირება.
11. ნეოგალენური პრეპარატები, მათი დახასიათება, განსხვავება გალენური პრეპარატებისაგან, შეყვანის გზები. ნეოგალენური პრეპარატების დოზირება და გამოწერის შედეგები.

### მეცადინეობისათვის მომზადება

გამოწერეთ რეცეპტები გაშლილი და შემოკლებული ფორმებით.

1. 25 მლ აბზინდას (Tinctura Absinthii) ხსნარი. დანიშნეთ 20 წვეთი 3-ჯერ დღეში ჭამამდე 20 წუთით ადრე.

2. ოხევადი ძირხველის (Extractum Viburni fluidum) ნაყენი. დაინიშნეთ 25 წვეთი 3-ჯერ დღეში.
3. 180 მლ გაზაფხულის დევცეცხლას ბალახის (herba Adonis vernalis) ხსნარი 0,5 გ თითო მიღებაზე. დანიშნეთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.
4. მიქსტურა, 12 მიღებაზე რომელიც შეიცავს თითო მიღებაზე 0,5 გ პეპსინს (Pepsinum), 10 წვეთი განზავებული მარილმჟავას (Acidum hydrochloricum dilutum) და აბზინდას (Tinctura Absinthii) ნაყენის 20 წვეთს. დანიშნეთ 1 ს.კ. 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.
5. 6 წლის ბავშვისათვის 12-ჯერ მიღებაზე ტუხტის ძირების (radix Althaeae) ნახარში, თითო მიღებაზე 0,3 გ, ნატრიუმის ჰიდროკარბონატს (Natrii hydrocarbonas) 0,1 გ და უბრალო სიროფს. დანიშნეთ 1 დესერტის კოვზი 3-ჯერ დღეში.
6. 12-ჯერზე მისაღები მიქსტურა, რომელიც დამზადებულია სათითურას (folium Digitalis) ფოთლების გამონაცემზე, თითო მიღებაზე 0,5 გ, კალიუმის ბრომიდის (Kalii bromidium) 0,1 გ. დანიშნეთ 1ს.კ. 3-ჯერ დღეში.
7. ემულსია, რომელიც შეიცავს 10 მლ აბუსალათინის ზეთს (Oleum Ricini), დანიშნეთ 1-ჯერზე მისაღებად 8 წლის ბავშვისათვის.
8. ნაკრები, რომელიც შეიცავს ერთნაირი—თითოს 50 გ-ის ოდენტობით სამკურნალო პიტნას (folium Menthae piperiatae) ფოთლების, ვალერიანის ფესვები ფესურით (rhizoma cum radicibus Valerianae). 2 ჩაის კოვზის ნაკრები დავაყენოთ 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყლით, 20 წთ, გადავწუროთ. დანიშნეთ 1/2 ჭიქა დილით და საღამოს თბილ მდგომარეობაში.
9. 200 მლ სალბის ფოთლის (folium Salviae) ნაყენი შეფარდებით 1:10. დანიშნეთ პირის ღრუს გამოსავლებად.

## სასტაცლო-კვლევით სამუშაო

### დავალება 1

გაეცანით სახელმწიფო ფარმაკოპეის სტატიების შინაარს.

### დავალება 2

გამოწერეთ რეცეპტები გაშლილი და შემოკლებული ფორმებით:

1. ატროპინის სულფატის (Atropini sulfas) ხსნარი წვეთებში 0,001 გ თითო მიღებაზე, შიგნით მისაღებად. დანიშნეთ 20 წვეთი 3-ჯერ დღეში 10 დღის განმავლობაში.

2. შროშანის ნაყენი (Tinctura Convallariae) 10 წვეთი მიღებაზე და ვალერიანის ნაყენი (Tinctura Valeriana) 15 წვეთი თითო მიღებაზე წვეთებში, შიგნით მისაღებად. დანიშნეთ 25 წვეთი 3-ჯერ დღეში.
3. ადონიზიდის (Adonisidum) ნეოგალენური პრეპარატის 15 მლ. დანიშნეთ 15 წვეთი 3-ჯერ დღეში.
4. 12 მიღებისათვის მიქსტურა, რომელიც შედგება გაზავებული გაზაფხულის დევსურას ბალახის ნაყენის (herba Adonis vernalis) 0,5 გ თითო მიღებაზე, ნატრიუმის ბრომიდი (Natrii bromidum) 0,3 გ თითო მიღებაზე და შროშანის ნაყენი (Tinctura Convallariae) 10 წვეთი თითო მიღებაზე. დანიშნეთ 1 სუფრის კოგზი 4-ჯერ დღეში.
5. 200 მლ მუხის ქერქის (cortex Quercus) გამონახაში შეფარდებით 1:10, დაუმატეთ ბორის მჟავა (Acidum boricum), ისე რომ მან შეადგინოს 2% და 5 წვეთი პიტნის ნაყენი (Tincturae Menthae piperitae). სუნის გასაუმჯობესებლად. დანიშნეთ პირი ღრუს გამოსავლებად.
6. ქლორალჰიდსატი (Chlorali hydras) 5 წლის ბავშვისათვის ერთი სამკურნალო ოყნისათვის 0,3 გ ერთ მიღებაზე.

### **დავალება 3**

1. რვეულები ლათინურ ენაზე ჩამოვალეთ ექსტრაქტების სახეები და მიუთითეთ რა სამკურნალწამლო ფორმებში გამოიყენებიან ისინი.
2. ჩაწერეთ რვეულები ლათინურ ენაზე სიროფების, არომატულ წყლების, ლორწოების და ემულგატორების სახელწოდებები ზეთოვანი ემულსიებისათვის.

### **დავალება 4**

გადაიწერეთ რვეულები და ისწავლეთ:

საგემოგნო სიროფები: შაქრის სიროფი (sirupus simplex), ალუბლის სიროფი (sirupus Cerasi), ქოლოს სიროფი (sirupus Rubi idaei), მანდარინის სიროფი (sirupus Citri unshiu).

სამკურნალო სიროფებია: ტუხტის სიროფი (sirupus Althaeae), რევანდას სიროფი (sirupus Rhei), ასკილის სიროფი (sirupus fructum Rozae), ალოეს სიროფი რკინით (sirupus Aloes cum Ferro), ძირტკბილას სიროფი (sirupus Glycyrrhizae).

## დაგალება 5

გადაიწერეთ რვეულში და ისწავლეთ:

არომატულლი წყლები (Aquae aromaticae): მწარე ნუშის წყალი (aquaes Amygdalarum amararum), კამის წყალი (aquaes Foeniculi), წიწაკისებრი პიტნის წყალი (aquaes Menthae piperitae), ქინძის სპირტიანი წყალი (aquaes oriandri spirituosa), ვარდის წყალი (aquaes Rosae).

## თემა №5

### საპონტორლო მეცანიერება ზოგად საექიმო რეცეპტურაში მეცანიერებისთვის მომზადება

#### დაგალება 1

შეამოწმეთ ზოგადი საექიმო რეცეპტურის თეორიული კურსის საკუთარი ცოდნა.

#### დაგალება 2

შეამოწმეთ საკუთარი ცოდნა—მკვრივი, რბილი და თხევადი სამკურნალწამლო ფორმების გამოყენების წესები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თითოეული სამკურნალწამლო ფორმისათვის რეცეპტის სტრუქტურას, ნივთიერებებს, რომლებიც გამოიყენება, როგორც ფუძე, ფხვნილებში, სუპოზიტორებში, მალამოებში და სხვა ფორმებში, გამსსნელების — გარეგანი, შინაგანი და პარენტერალური მოხმარების სსნარებისათვის, ნივთიერებებს, რომლებიც შედიან მიქსტურის (ლორწოს, არომატული წყლების და სიროფების) შედგენილობაში, დოზირების წესებს თხევადი სამკურნალწამლო ფორმებისათვის.

#### დაგალება 3

გამოწერეთ რეცეპტები გაშლილი და შემოკლებული ფორმით.

1. სტრეპტოციდი (Streptocidum) ჭრილობაზე მოსაყრელად, მალამოსა და პასტის (15%) და 0,3 გ-იანი ტაბლეტების სახით.
2. მაგნიუმის ოქსიდის (Magnesii oxydum) არადოზირებული ფხვნილი, ჭამის შემდეგ 1/2 ჩაის კოვზი შიგნით მისაღებად.
3. მოსაყრელი, რომელიც შეიცავს 1% სილიციოლის მჟავას (Acidum salicylicum), 3% ბორის მჟავას (Acidum boricum) და 25% თუთიის ოქსიდს (Zinci oxydum).
4. 1% ტეტრაციკლინის (Tetracyclinum) თვალის მალამო.

5. მალამო, რომელიც შედგება 0,5% პრედნიზოლონისაგან (Prednisolonom), თანაბარი რაოდენობით ვაზელინსა და ლანოლინზე.
6. 40 გ თხევადი მალამო, რომელიც შეიცავს მეთილსალიცილატს (Methylili salicylas) და მზესუმზირის ზეთს (Oleum Helianthe) შეფარდებით 1:2.
7. შმაგას ექსტრაქტი (Extractum Belladonae) 0,15 გ-იან ფხვნილებში, ტაბლეტებში და სანთლების სახით.
8. სათითურას ფოთლების ფხვნილი (Pulvis folii Digitalis) ერთ მიღებაზე 0,5გ და ქინიდინის სულფატი (Chinidini Sulfas) 0,1 გ თითო მიღებაზე კაფსულებში.
9. ანალგინი (Analginum) 0,25 გ-იან ტაბლეტებში.
10. 0,002 გ-იანი რიბოფლავინის (Riboflaevini) 50 დრაჟე შიგნით მისაღებად დღეში 2-ჯერ თითო დრაჟე.
11. თითო მიღებაზე 0,1 გ უფილინი (Euphyllinum) და 0,025 გ დიმედროლი (Dimedrolum) კაფსულებში შიგნით მისაღებად თითო კაფსულა 3-ჯერ დღეში.
12. მეთოლენ ლურჯის (Methylenum Coeruleum) 50 მლ 1%-იანი სპირტესნარი კანის დაზიანებული უბნების დასამუშავებლად.
13. გლუკოზის (Glucosum) 1000 მლ 5%-იანი ხსნარი ინტრავენურად შეყვანისათვის 500მლ 2-ჯერ დღეში.
14. თიამინის ქლორიდის (Thiaminum chloridum) 1 მლ 5%-იანი ხსნარი ამპულებში კუნთებში შესაყვანად.
15. კალიუმის ქლორიდის (Kalii chloridum) 0,5 გ თითო მიღებაზე შიგნით მისაღები ხსნარი 12 მიღებისათვის. დანიშნეთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.
16. თვალის წვეთები, რომელიც შეიცავს თუთიის სულფატის 0,3% ხსნარს (Zinci sulfas) და ბორის მჟავას 2%-იან ხსნარს (Acidum boricum).
17. კატაბალახა ნაყენის (Tinctura Valeriana) 15 წვეთი მიღებაზე და შროშანის (Tinctura Convallariae pro dosi) 10 წვეთი შიგნით მისაღებად 25 წვეთი 3-ჯერ დღეში.
18. კუნელის თხევადი ექსტრაქტი (Extractum Crataegi fluidum). დანიშნეთ 30 წვეთი 3-ჯერ დღეში.
19. მიქსტურა 12 მიღებისათვის, რომელიც დამზადებულია თერმოფსისის ბალახის (herba Thermopsis pro dosi 0,05გ), კოდეინის ფოსფატის (Codeini phospas pro dosi 0,015გ), ნატრიუმის ჰიდროკარბონატის (Natrii hydrocarbonas pro dosi 0,3გ) და უბრალო სიროფისაგან. დანიშნეთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

20. 20 მლ აბუსალათინის ზეთი (Oleum Ricini) ემულსიის ფორმით. დანიშნეთ ერთ მიღებაზე.
21. 50გ სინტომიცინის (Synthomycinum) თხევადი მალამო კანის დაზიანებული უბნებზე წასასმელად.
22. 2% ნეომიცინის სულფატის (Neomycinis sulfas) 30გ მალამო კანის დაზიანებული უბნებზე წასასმელად.
23. 75%-იანი ნატრიუმის ფთორიდის (Natrii toridum) და გლიცერინის (Glycerinum) 4გ პასტა. კბილის ფაიფურისა და დენტინის გასაუტკივარებლად.
24. 100მლ 1% გალასკორბინის ხსნარი (Galascorbinum). პირის ღრუს ლორწოვანის გარსის აპლიკაციისათვის.

## სასწავლო-პრეპარატი სამუშაო

**(სტუდენტებისათვის ინდივიდუალური დავალება)**

### დავალება 1

გამოწერეთ რეცეპტები.

1. 1 გ რკინის ლაქტატის (Ferri lactas) და 0,1 გ ასკორბინის მჟავას (Acidum ascorbinicum) შემცველი 20 კაპსულა. დანიშნეთ თითო კაფსულა 3-ჯერ დღეში.
2. ნეოდიკუმარინის (Neodicumarinum) 0,05 გ-იანი 10 ტაბლეტი. დანიშნეთ თითო ტაბლეტი 2-ჯერ დღეში.
3. 0,5% პრედნიზოლოის (Prednisoloni) შემცველი 10 გ მალამო, კანის დაზიანებული უბნებზე წასასმელად.
4. 0,3გ ეუფილინის (Euphyllinum) შემცველი 10 რექტალური სანთელი. დანიშნეთ თითო სანთელი per rectum 2-ჯერ დღეში.
5. 2 მლ-იანი სულფოკამფოკაინის (Sulfocamphocainum) 10%-იანი 10 ამპულა. დანიშნეთ კანქეშ 1 მლ.
6. თვალის წვეთები, რომელიც შეიცავს 1% პილოკარპინის ჰიდროქლორიდს (Pilocarpini hydrochloridum). დანიშნეთ თვალში 1-2 წვეთი 3-ჯერ დღეში.
7. თხევადი მალამო, რომელიც თანაბარი რაოდენობით შეიცავს ლენცოფას ზეთს (Oleum Hyoscuami), მზესუმზირის ზეთს (Oleum Helianthi) და 2 გ მენთოლს (Mentholum) დანიშნეთ დაზიანებული სახსრის არეში შესაზელად.

8. სიმინდის „ულვაშის“ თხევადი ექსტრაქტი (Extractum Stigmatis maydis). დანიშნეთ 25 წვეთი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ).
9. 10 ფლაკონი, რომელიც შეიცავს 0,5 გ ცეფალორიდინს (Cefaloridinum). ფლაკონის შიგთავსი გავხსნათ 20 მლ სტერილურ იზოტონურ გლუკოზის ხსნარში და ნელ-ნელა შევიყვანოთ ვენაში. ინექცია გაიმეორეთ ყოველი 6 სთ-ის შემდეგ.
10. 12 მიღებისათვის მიქსტურა, რომელიც შეიცავს ნატრიუმის ბრომიდს (Natrii bromidum) და კალიუმის ბრომიდს (Kalii bromidum) თითო 0,3 გ ერთ მიღებაზე და უბრალო სიროფს. დანიშნეთ 1 სუფრის კოგზი 3-ჯერ დღეში.

## **დაგალება 2**

შეარჩიეთ რეცეპტის შესაბამისი ბლანკი, რომელზედაც გამოიწერება შემდეგი რეცეპტები:

1. 10 ამპულა 1 მლ-იანი 2%-იანი პრომედოლის (Promedolum) ხსნარი ინკურაბელური ავადმყოფისათვის. შეიყვანეთ კანქენშ 2 მლ 2-ჯერ დღეში.
2. ოქსაცილინის ნატრიუმის მარილის (Oxacillinum-natrium) 0,5 გ-იანი 30 გაბლეტი. დანიშნეთ თითო ტაბლეტი 6-ჯერ დღეში.

## **დაგალება 3**

ჩაატარეთ ინდივიდუალურ დაგალების შესრულებისას დაშვებული შეცდომების ანალიზი.

**თემა №6**  
**ზოგადი ფარმაკოლოგია**  
**ძირითადი პითხები**

1. ცნება სამკურნალწამლო საშუალება და შხამი.
2. დოზები (ერთჯერადი, დღიური, კურსური, დარტყმითი) და მათი თერაპიული სიფართე. თერაპიული ინდექსი. სამკურნალწამლო ფორმასა და ბიოლოგიურ სითხეებში სამკურნალწამლო საშუალებების კონცენტრაციას შორის „ურთიერთდამოკიდებულება. დამოკიდებულება „კონცენტრაცია (დოზა) – ეფექტის“ მნიშვნელობა ფარმაკოლოგიაში.
3. ორგანიზმში წამლის შეყვანის გზები და მათი მნიშვნელობა ფარმაკოლოგიური ეფექტების სწრაფად განვითარებასა, ძალისა და ხასიათისათვის.
4. სამკურნალწამლო საშუალებების ფარმაკოკინეტიკა და ფარმაკოდინამიკა.
5. სამკურნალწამლო საშუალებების ფარმაკოკინეტიკის ძირითადი პარამეტრები (შეწოვა, ტრანსპორტი, განაწილება, მეტაბოლიზმი, ექსკრეცია).
6. სამკურნალწამლო საშუალებების მოქმედების პრინციპები (ფიზიკური, ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური). მოქმედების კონკურენტული მექანიზმი.
7. სამკურნალწამლო საშუალებების მოქმედების სახეები (პრერეზორბციული ანუ ადგილობრივი, რეფლექსური, რეზობციული, შერჩევითი, ძირითადი, გვერდითი, პირდაპირი, არაპირდაპირი, შექცევადი და შეუქცევი).
8. პარამეტრები, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზმში სამკურნალო საშუალებების მოქმედების გამოვლენაზე: პრეპარატების ქიმიური სტრუქტურა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები; ადამიანის მდგომარეობა, სქესი, ასაკი, ორგანიზმის ინდივიდუალურობა, ასევე გარემო ფაქტორები.
9. სამკურნალო საშუალებების მოქმედების თავისებურებები ორგანიზმი განემჟორებითი შეყვანისას: კუმულაცია, ტაქიფილაქსია, შეჩვევა, ტოლერანციობა. წამლისმიერი დამოკიდებულებების სახეები.
10. სამკურნალო საშუალებების მოქმედების თავისებურებები ორგანიზმი ერთობლივი (კომბინირებული) შეყვანისას. სინერგიზმი და ანტაგონიზმი (სახეები, მიზეზები და პრაქტიკისათვის მნიშვნელობა).
11. სამკურნალო საშუალებების ტოქსიკური, მუტაგენური, ემბოროტოქსიკური მოქმედება. გენეტიკური ფაქტორების მნიშვნელობა წამლების უარყოფითი მოქმედების განვითარებაში. იდიოსინკრაზია, კანცეროგენობა.

## მეცანიერობისთვის მომზადება

გამოწერეთ რეცეპტები.

1. 12 ფხვნილი და ტაბლეტი, რომელიც შეიცავს თითო 0,25 გ-ს ანალგინს (Analginum) და ამიდოპირინს (Amidopirinum). დანიშნეთ თითო ფხვნილი (ტაბლეტი) 3-ჯერ დღეში.
2. ინდომეტაცინის (Indometacinum) 0,25 გ-იანი 10 დრაჟე. დანიშნეთ 1 დრაჟე 3-ჯერ დღეში.
3. ანესთეზინის (Anesthesinum) 0,3 გ-იანი 10 კაფსულა და რექტალური სანთელი. დანიშნეთ 1 კაფსულა (სუპოზიტორია) 3-ჯერ დღეში.
4. 50 გ მალამო, პასტა, თხევადი მალამო და მოსაყრელი, რომელიც შეიცავს 5% სტრეპტოცინს (Streptocidum) კანის დაზიანებულ უბნებზე წასასმელად.
5. 0,013% ფოსფაკოლის (Phoshaclolum) 5 მლ თვალის წევები. დანიშნეთ 1-2 წევთი თვალში 3-ჯერ დღეში.
6. 10 ამცულა, რომელიც შეიცავს 1 მლ 5%-იან ასკორბინის მჟავას (Acidum ascorbinicum) ხსნარს. შეიყვანეთ 1 მლ თითო მლ კუნთებში.
7. ცეფტრიაქსონ ნატრიუმის (Ceftriaxonum natrium) 1,0-იანი 10 ფლაკონი. ფლაკონის შიგთავსი გაიხსნას 5 მლ საინექციო წყალში და შევიყვანოთ კუნთებში. ინექცია გავიმეოროდ ყოველ 12-სთ-ში ერთხელ,
8. 200 მლ სალბის ფოთლების ნაყენი (Folium salviae) პირი დრუს გა-მოსავლებად.

## სასტაცლო-კვლევითი სამუშაო

### დაგალება 1

შეასრულეთ დავალება ცოდნის ტესტირებული კონტროლისათვის.

1. რას ნიშნავს ტერმინი ტაქიზოლაქსია?

1. გამოხატულ წამლისმიერ დამოკიდებულებას;
2. პრეპარატისადმი სწრაფ მიჩვევას მისი ხშირი შეყვანისას;
3. პრეპარატისადმი თანდაყოლილ შეუთავსებლობას;
4. უკუგების ფენომენს;
5. პრეპარატის ერთჯერადი შეყვანის ეფექტის არარსებობას.

2. რას ნიშნავს ტერმინი იდიოსინარაზია?

1. პრეპარატის თანდაყოლილ აუტანლობას;
2. წამლისმიერ დამოკიდებულებას;
3. გამოხატულ კუმულაციას;
4. ტოქსიკურ რეაქციებს;
5. ხშირი შეყვანისას პრეპარატისადმი სწრაფ შეჩვევას.

3. ნივთიერების პუმულაცია შესაძლებელია:

1. თირკმელების გამოყოფი ფუნქციის შესუსტებისას;
2. ვეგეტაციური ნერვული სისტემის ფუნქციის მოშლისას;
3. სისხლის წარმოშობის მოშლისას;
4. ღვიძლში ბიოტრანსფორმაციის შესუსტებისას;
5. ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის მოშლისას.

4. თუ პრეპარატი შეიგვანეს ვენაში და მან მოახდინა პირდაპირი პარდიოტონური ეფექტი, რა შეიძლება ვუწოდოთ ამ მოქმედებას?

1. ემბრიოტოქსიკური;
2. რეზორბციული;
3. რეფლექსური;
4. ტერატოგენური;
5. მუტაგენური.

5. ბანსაზღვრეთ ტერმინი პოტენციება:

1. პრეპარატების საბოლოო ეფექტი ტოლია მათი ეფექტების ჯამისა;
2. პრეპარატების ეფექტის მნიშვნელოვნად გაძლიერება მათი ერთად შეყვანისას;
3. ცრუ სინერგიზმი;
4. ჭეშმარიტი სინერგიზმი;
5. პრეპარატების ეფექტის შემცირება მათი ერთად მიღებისას;

6. პრეპარატის გვერდითი მოქმედება მს არის:

1. ეტიოტროპული მოქმედება;
2. არასასურველი მოქმედება;
3. სამკურნალო მოქმედება;
4. რეფლექსური მოქმედება;

5. ელექტრიური მოქმედება.
7. რა ჰქვია სიტუაციას, როდესაც ავადმყოფი ადრე მიღწეული ეცესტის მისაღებად იძულებელია გაზარდოს პრეპარატის დოზა?
1. ალერგია;
  2. იდიოსინკრაზია;
  3. სენსიბილიზაცია;
  4. შეჩვევა;
  5. ტაქიფილაქსია.
8. მიუთითეთ ფარმაკოპეტიკის ძირითადი ასპექტები:
1. აბსორბცია;
  2. ბიოტრანსფორმაცია;
  3. ელიმინაცია;
  4. მოქმედების მექანიზმი;
  5. მოქმედების სახეები.
9. რა ფაქტორები ახდენს გავლენას წაგლის მხრიდან ეცესტის ბაზონეატულებაზე?
1. დოზა;
  2. შეყვანის გზა;
  3. სხეულის მასა;
  4. შეყვანის ხანგრძლივობა;
  5. ცირკალური რიტმი.
10. ორგანიზმის მხრიდან რა ფაქტორები ახდენენ გავლენას წაგლის ორგანიზმთან ურთიერთობობებისაზე?
1. სქესი;
  2. ლიპოფილურობა;
  3. ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობა;
  4. შეყვანის გზა;
  5. გენეტიკური განსხვავებები.
11. რომელი სამკურნალო ფორმები შეიძგანება მნტერალურად?
1. სანთლები;
  2. წვეთები;

3. მალამოები;
  4. მიქსტურები;
  5. ტაბლუტები;
12. ყამალთა შემვანის მნიშვნელურ გზას მიმკუთვნება:
1. პერორალური;
  2. ინჰალაციური;
  3. რექტალური;
  4. სუბდინგვალური;
  5. ინტრავენური.
13. განარჩევენ კუმულაციის შემდეგ სახეებს:
1. ფუნქციურს;
  2. რეფლექსურს;
  3. შექცევადს;
  4. შეუქცევადს;
  5. მატერიალურს.
14. ცნება ფარმაკოლინამიკა მოიცავს:
1. აბსორბციას;
  2. განაწილებას;
  3. ბიოტრანსფორმაციას;
  4. რეცეპტორების ბლოკადას;
  5. ფერმენტების აქტივაციას.
15. სამკურნალო საშულებების მოქმედების სახეებია:
1. შერჩევითი;
  2. ადგილობრივი;
  3. რეზორბციული;
  4. მთავარი;
  5. კუმულაცია.
16. რომელი სამკურნალო ფორმები შეკვეთი აარენტერალურად?
1. საინჟექციო;

2. პასტები;
  3. მიქსტურები;
  4. მალამოები;
  5. სუპოზიტორიები.
17. ოითო ხასიათდება ს/წ საშუალების შეყვანის რეაქტალური გზა?
1. ეფექტის დადგომის სისწრაფით;
  2. ნივთიერების შეყვანის შესაძლებლობით, რომელიც კუჭსა და წერილნაწლავში იშლება;
  3. ს/წ საშუალების სისხლის მიმოქცევაში მოხვედრით დვიძლის გენერის ავლით;
  4. მხოლოდ სტაციონარულ პირობებში გამოყენების საშუალებით;
  5. უგონო მდგომარეობაში გამოყენების საშუალებით.
18. ვარმაპოთერაპიული მოქმედება შეიძლება იყოს:
1. ეტიტოპული;
  2. პათოგენეზური;
  3. სიმპტომატური;
  4. პროფილაქტიკური;
  5. მუტაგენური.
19. ანტაბოზიზმი შეიძლება იყოს:
1. პირდაპირი;
  2. არაპიდაპირი;
  3. ერთმხრივი (ცალმხრივი);
  4. ორმხრივი;
  5. ელექტრური.
20. სინერგიზმის სახესხვაობებია:
1. სუმირება;
  2. პოტენცირება;
  3. კუმულაცია;
  4. ტაქიფილაქსია;
  5. იდიოსინკრაზია.

21. შეყვანის პარტნერადური გზისათვის დამახასიათებელია:

1. ეფექტის დადგომის სისწრაფე;
2. დოზირების სიზუსტე;
3. კარგი მართვის შესაძლებლობა;
4. უგონო მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფებისათვის შეყვანის შესაძლებლობა;
5. შეყვანისას უარყოფითი მოქმედება.

22. ს/შ საშუალებების აღრორადური შეყვანის უპირატოსობა:

1. მიღების ფიზიოლოგიურობა;
2. ტკივილის სინდრომის არარსებობა;
3. დოზირების სიზუსტე;
4. საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე გვერდითი მოქმედების არარსებობა;
5. ავდმყოფისათვის უგონო მდგომარეობაში შეყვანის საშუალება.

23. ს/შ საშუალებების ინჰალაციური შეყვანის გზისათვის

დამახასიათებელია:

1. შეყვანის კარგი მართვა;
2. დოზირების სიზუსტე;
3. ალერგიული რეაქციის შესაძლებლობა;
4. ბალნეებისა და სპეციალური მოწყობილობების გამოყენების აუცილებლობა;
5. ზოგიერთ შემთხვევაში – ფილტვებისა და ბრონქების დაავადებათა გამწვავება;

24. ს/შ საშუალებების პანცვებ შეყვანის გზისათვის დამახასიათებელია:

1. წყალსნარის ფორმით შეყვანილი პრეპარატის ეფექტის დადგომის სიჩქარეა 10-25 წთ;
2. მოქმედების ხანგრძლივობა უფრო მცირეა, ვიდრე პერორალურად შეყვანისას;
3. ხსნარის სტერილობის აუცილებლობა;
4. ეფექტი გვაქვს უფრო სწრაფად, ვიდრე ინტრავენურად შეყვანისას;
5. ტკივილის ეფექტის არ არსებობა.

25. ორგანიზმი ს/შ საშუალებების არათანაბარი განაწილება

დამოკიდებულია:

1. პლაზმის ცილებთან პრეპარატის კავშირზე;

2. სხვადასხვა ქსოვილებისადმი ტროპულობაზე;
  3. დოზებზე;
  4. მოქმედების მექანიზმზე;
  5. ბიოლოგიურ ბარიერებში განვლადობაზე.
26. ს/წ საშუალებების რეზორბციული მოქმედების სახეები შეიძლება იყოს:
1. ადგილობრივი;
  2. მთავარი;
  3. გვერდითი;
  4. პირდაპირი;
  5. ირიბი.
27. ს/წ საშუალებების ინტრავენერი შემვანის გზისათვის დამახასიათებელია:
1. ეფექტის სწრაფი დადგომა, ხშირად ინექციის მომენტში;
  2. მოქმედების ხანგრძლივობა ხანმოკლეა, ვიდრე პერორალური შეუვანისას;
  3. მოქმედების ხანგრძლივობა მეტია, ვიდრე პერორალური შეუვანისას;
  4. არ შეიმჩნევა გვერდითი მოვლენები;
  5. ეფექტი დგება უფრო ნელა, ვიდრე კუნთებში შეუვანისას.
28. ყამლების განმეორებით შემვანისას აღინიშნება:
1. შეჩვევა;
  2. წამლისმიერი დამოკიდებულება;
  3. ტაქიფილაქსია;
  4. კუმულაცია;
  5. შექცევადი მოქმედება.
29. ვეტოტოქსიკური მოქმედება – მს არის:
1. ორსულობის 13 კვირის შემდეგ ნაყოფზე ტოქსიკური მოქმედება;
  2. უკუგების ფენომენი;
  3. ალერგიული რეაქციები;
  4. დისბაქტერიოზი;
  5. ს/წ საშუალებებზე ორგანიზმის გაუკუდმართებული რეაქცია.
30. სენიბილიზაცია – მს არის:
1. ორგანიზმში ს/წ საშუალებების დაგროვება;

2. დისბაქტერიოზი;
  3. ორგანიზმის გაზრდილი მგრძნობელობა ს/წ საშუალებების განმეორებით შეყვანისას;
  4. ფიზიკური დამოკიდებულება;
  5. უკუგების ფენომენი.
31. რა მოვლენები ვითარდება ს/წ საშუალებების განმეორებითი შეცვანისას?
1. შეჩვევა;
  2. ტაქიფილაქსია;
  3. პოტენცირება;
  4. იდიოსინკრაზია;
  5. კუმულაცია.
32. ს/წ საშუალებათა აბსორბცია შედის ცნებაში:
1. შეჩვევა;
  2. წამლისმიერი დამოკიდებულება;
  3. ფარმაკოპინეტიკა;
  4. ბიოტრანსფორმაცია;
  5. კუმულაცია.
33. 60ვთივერებათა ნარევი და ზეთოვანი ხსნარები არ შეიძლება შეცვანით:
1. ინტრავენურად;
  2. კანქვეშ;
  3. კუნთებში;
  4. ინტრაარტერიულად;
  5. ტვინის ქერქის ქვეშ.
34. ს/წ საშუალებების გამოყოფა ხორციელდება:
1. თირკმელებით;
  2. ნაწლავებით;
  3. ნერწყვით;
  4. ოფლით;
  5. ფილტვებით.
35. შეცვანის პარამეტრალურ ბზას მიმკუთვნებიან:

1. კანქვეშ;
  2. კუნთებში;
  3. სუბლინგვალურად;
  4. ინტრავენურად;
  5. შიგნით – (პერორალურად).
36. ს/ჭ საშუალების მეტაბოლიზმის პროცესის სიჩქარე შემცირებულია:
1. ბავშვის ცხოვრების პირველ თვეს;
  2. მოხუცებულობის ასაკში;
  3. დვიძლის დაავადებისას;
  4. დვიძლის მიკროსომული ფერმენტების ინჰიბიტორების რეგულარული მიღებისას;
  5. დვიძლის მიკროსომული ფერმენტების ინდუქტორების რეგულარული მიღებისას.
37. აღნიშნეთ ვენომენები, რომელიც მიეკუთვნება ფარმაკოლინამიკას:
1. მოქმედების ლოკალიზაცია;
  2. მოქმედების მექანიზმი;
  3. მოქმედების სახეები;
  4. ფარმაკოლოგიური ეფექტები;
  5. ბიოტრანსფორმაცია.
38. მიუთითეთ ს/ჭ საშუალებების შეყვანის პარენტერალური გზები:
1. თორმეტგოჭა ნაწლავში;
  2. ინტრაარტერიული;
  3. სუბლინგვალური;
  4. გულმკერდში;
  5. ტვინის გარსების ქვეშ.
39. ს/ჭ საშუალებების ურთიერთსმედების ფარმაკოპინეტიკური ტიპი მოიცავს:
1. შევვანის ადგილიდან შეწოვის ეტაპზე ურთიერთქმედებას;
  2. ურთიერთქმედებას დეპონირების პროცესში;
  3. ურთიერთქმედებას მეტაბოლიზმის პროცესში;
  4. ურთიერთქმედებას სპეციალურ რეცეპტორებთან შეკავშირების პროცესში;
  5. ურთიერთქმედებას ორგანიზმიდან გამოყოფისას.

40. ს/შ საშუალებებისადმი სტრატი მიზნება – ეს არის:

1. იდიოსინკრაზია;
2. სენსიბილიზაცია;
3. კუმულაცია;
4. ტაქიფილაქსია;
5. აბსტინენცია.

41. რა ტერმინით აღინიშნება უჩვეულო რჩაშივები ს/შ საშუალებებზე, რომელიც დაპავშირებულია გენეტიკურად განპირობებულ ენზიმურა-თივებითან?

1. ანტაგონიზმი;
2. ტაქიფილაქსია;
3. აბსტინენცია;
4. სინერგიზმი;
5. იდიოსინკრაზია.

42. ნივთიერებების აძლიური ტრანსპორტი მემბრანის გავლით:

1. საჭიროებს ენერგიის ხარჯვას;
2. შეუძლია განხორციელდეს კონცენტრაციის გრადიენტის საწინააღმდეგოდ;
3. ხორციელდება მხოლოდ კონცენტრაციის გრადიენტით;
4. არ საჭიროებს ენერგიის ხარჯვას;
5. საჭიროებს გადამტანებს.

43. აბსტინენციის სინდრომი დამახასიათებელია:

1. ს/შ საშუალებებისადმი შეჩვევისათვის;
2. ფიზიკური და ფსიქიკური დამოკიდებულებისათვის;
3. ტაქიფილაქსიისათვის;
4. დისბაქტერიოზისათვის;
5. ალერგიისათვის.

44. ს/შ საშუალების განმორებითი მიღებისას ეფექტის შემცირება აღინიშნება:

1. ტაქიფილაქსიისას;
2. შეჩვევისას.
3. ფსიქოლოგიური დამოკიდებულებისას;
4. უკუგების ფენომენის დროს;

5. პოტენციურებისას.

45. შემგანის რომელი გზები უზრუნველყოფს ს/ტ საშუალების სისხლის მიმღებაში მოხვედრას დვიძლის გვერდის ავლით?

1. შიგნით (პერორალურად);
2. სუბლინგვალურად;
3. რექტალურად;
4. 12-გოჯა ნაწლავში;
5. კანქვეშ.

46. რომელი სამკურნალოამდო ფორმები არ შეიძლება შევიყვანოთ ინტრაგენურად?

1. ჰიპერტონული სსნარები;
2. სუსპენზიები და ნარევები;
3. ზეთოვანი სსნარები;
4. იზოტონური სსნარები;
5. პოლარული ჰიდროფილური ნივთიერებები.

47. რომელი ტერმინით აღნიშნავთ ს/ტ საშუალებების მოქმედებას ორსულობის დროს, რომელიც იღვევს თანდაყოლილ სიმახიებს?

1. მუტაგენური მოქმედება;
2. იდიოსინკრაზია;
3. ტერატოგენური მოქმედება;
4. კუმულაცია;
5. აბსტინენცია.

## დავალება 2

3. შეამოწმეთ ტესტები პასუხების ეტალონის მიხედვით.

## პასუხების ეტალონები

ტესტი №	პასუხი	ტესტი №	პასუხი	ტესტი №	პასუხი
1	2	17	1,2,3,5	32	1,4,5
2	1	18	1,2,3,4	34	1,2
3	1,4	19	1,2,3,4	35	1,2,4
4	2	20	1,2	36	1,2,3,4
5	2	21	1,2,4,5	37	1,2,3,4
6	2	22	1,2	38	1,2,3,4,5
7	4	23	1,3,4,5	39	1,2,3,5
8	1,2,3	24	1,2,3	40	4
9	1,2,4	25	1,2,5	41	5
10	1,3,5	26	2,3,4,5	42	1,2,5
11	1,2,4	27	1,2	43	2
12	1,3,4	28	1,2,3	44	1,2,3
13	1,5	29	1	45	2,3,5
14	4,5	30	3	46	2,3
15	2,3,4	31	1,2,3,5	47	3
16	1	32	3		

### დავალება 3

შეისწავლეთ შეყვანის გზების ზეგავლენა ს/წ საშუალების რეზორტციულ მოქმედებაზე.

ორ ერთნაირი მასის ბაყაფს შეუყვანეთ 2,5 მლ 30%-იანი მაგნიუმის სულფატის ხსნარი: ერთს – კუჭში და მეორეს – ლიმფურ ტომარაში. ბაყაფები მოვათავსოთ მინის ხუფის ქვეშ და შევამოწმოთ მათი რეფლექსები.

ცდის შედეგები შევიტანოთ ოქმში და ახსენით მაგნიუმის სულფატის მოქმედების მექანიზმი ენტერალური და პარენტერალური შეყვანისას.

### რეზერატის თემები:

1. ქრონოფარმაკოლოგიის ძირითადი მიღწევები.
2. ს/წ საშუალებების მეტაბოლიზმი.

## თემა №7

ადგილობრივი საანესტეზიო საშუალებები. შემკვრელი,  
შემომგარსველი, მაალსორბირებელი და გამაღიზიანებელი საშუალებები

### პირითადი პითხვები

0. განსაზღვრეთ ცნება „ანესტეზია“ და მისი სახეები. საანესტეზიო საშუალებების აღმოჩენის ისტორია.
0. ადგილობრივი საანესტეზიო საშუალებების კლასიფიკაცია ქიმიური აღნაგობის და სხვადასხვა სახის ანესტეზიისათვის გამოყენების მიხედვით.
0. ადგილობრივი საანესტეზიო საშუალებების მოქმედების მექანიზმი.
0. საანესტეზიო საშუალებების შედარებითი ფარმაკოლოგიური დახასიათება.
0. საანესტეზიო საშუალებების გამოყენება (დოზა და კონცენტრაცია) სხვადასხვა სახის ანესტეზიისათვის.
0. ადგილობრივი საანესტეზიო საშუალებების გვერდითი და ტოქსიკური ეფექტები, მათი თავიდან აცილების ღონისძიებები.
0. ორგანული და არაორგანული შემკვრელი საშუალებების ზოგადი დახასიათება და მოქმედების მექანიზმი. მათი გამოყენების წვენებები.
0. შემომგარსველი საშუალებები. მოქმედების მექანიზმი და გამოყენების წვენებები.
0. მაადსორბირებელი საშუალებები. მოქმედების მექანიზმი და გამოყენების წვენებები.
0. გამაღიზიანებელი საშუალებების მოქმედების მექანიზმი კანზე და ლორწოვან გარსებზე. გამოყენების წვენებები.

### პრეპარატები

#### საანესტეზიო

Novocainum	Ultracainum
Dicainum	Anaesthesinum
Lidocainum	Trimecainum

#### შემკვრელი

Tanninum	Folium Salviae
Bismuthi subnitras	Flores Chamomilae
Cortex Quercus	Folium Hyperici
Mucilago Amyli	Semeni Lini

## მაადსორბირებელი

Carbo activatus

Enterosgelum

## გამაღიზიანებელი

Sol. Ammonii coustici

Sinapismus-salcius

Oleum rectificatum Terobinthinae

Mentholum

## მეცაფინეობისთვის მომზადება

გამოწერეთ რეცეპტები.

1. ანესთეზინის რექტალური სანთლები.
2. ტრიმეკაინი სპინალური ანესთეზიისათვის.
3. ლიდოკაინი ამპულებში.
4. ტანინის ხსნარი დამწვრობის დასამუშავებლად.
5. გვირილის ფოთლების ნაყენი.
6. აქტივირებული ნახშირი ტაბლეტებში.
7. ნიშალურის ხსნარი სიმთვრალის დროს.
8. მუხის ქერქის ნახარში პირის დრუში გამოსავლებად.

7. სუპრასტინი ტაბლეტებში.
8. ტაქტინი ფლაკონებში.
9. ჰიდროკორტიზონი საფეთქელ-ქვედაყბის სახსრის ართორზის სამკურნალოდ.

## სასწავლო-კვლევითი სამუშაო

### დავალება 1

გამოწერეთ რეცეპტები და ჩაატარეთ მისი ფარმაკოთერაპიული ანალიზი.

1. პრედნიზოლონი ამპულებში.
2. დექსამეტაზონი ოვალის წვეთებში.
3. მეფენამინის მეფა ტაბლეტებში.
4. კრომოლინ-ნატრიუმი კაფსულებში.
5. დიაზოლინის დრაჟე.

6. ფენკაროლი ამპულებში.
  7. ლორატადინის სიროვი შიგნით მისაღებად.
  8. თიამინი ფლაკონებში.
  9. ლევამიზოლი ტაბლეტებში.
  10. მეთილპრედნიზოლონი ტაბლეტებში.
  11. მეფენამინის ნატრიუმის მარილის ხსნარი და მალამო.

დავალება 2

დაასაბუთეთ პრეპარატის, მისი სამკურნალწამლო ფორმის, დოზირების, კონცენტრაციის და შეყვანის გზის არჩევანი:

1. ართოიტის სამკურნალო სტეროიდული სტრუქტურის სამკურნალო პრეპარატი.
  2. ალერგიული მდგომარეობების კომპლექსური მკურნალობის არასტეროიდული პრეპარატი.
  3. ანტიჰისტამინური პრეპარატები, რომლებიც არ მოქმედებს ცნხ-ზე.
  4. ალერგიული რეაქციების კომპლექსური მკურნალობის პრეპარატები.
  5. ინჰალაციური პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება ბრონქული ასთმის შეტევების პროფილაქტიკისათვის.
  6. სინთეზური იმუნომოდულაგორი, ინგერიფერონის ინდუქტორი.

დავალება 3

შეადგინეთ იმუნომოდულატორების: ლევამიზოლი (ა), პიროგენალი (ბ),  
თიმალინის (გ) და ნატრიუმის ნუკლეინატის (დ) შედარებითი ფარმაკოლოგიური  
სპექტრი:

მოქმედების სპეციალური გამოსახვის მაგალითი: ფ-1,4,8.

# ინდექსი

# მოქმედების სახეები

1. იმუნური სისტემის სტიმულაცია.
  2. იმუნური სისტემის დათვალგუნვა.
  3. პიროგენული მოქმედებები.
  4. ანტიკელმითოზური მოქმედება.
  5. ლეიკოპოეზის სტიმულაცია.

დავალება 4

პისტამინით გამოწვეული კონიუქტივის შემუპების თავიდან აცილება  
დიმედროლით.

ორიდან ერთ ზღვის გოჭს კანქვეშ შევუყვანოთ დიმედროლი დოზით 10 მგ/კგ. 20 წთ-ის შემდეგ ცხოველებს ჩავაწვეთოთ თვალში 1-2 წვეთი 2%-იანი ჰისტამინის ხსნარი, რის შემდეგაც პერიოდულად დავათვალიეროთ კონიუქტივა და თვალის კიდეები. გავაანალიზოთ ცდის შედეგები.

## დავალება 5

გაეცანით ამ თემის პრეპარატებს სასწავლო კოლექციაში, განსაზღვრეთ რომელ ფარმაკოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი და ჩვენებები მიღებისათვის.

### რეზერატის თემები:

1. დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციების (ჭინჭრის ციება, პოლინოზი, კვინკეს შეშუპება და სხვ) პროფილაქტიკის და მკურნალობის პრინციპები.
2. იმუნოდეფიციტური მდგომარეობების ფარმაკოლოგიური კორექცია.
3. სტეროიდული და არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედება ანთების პროცესის სხვადასხვა პათოგენეტიკურ რგოლებზე.

## თემა №35

**ვერმენტული პრეპარატები. ფიალ-ელექტროლიტურ  
ცვლაზე მოქმედი პრეპარატები. მჟავები და ფუტები**

### ძირითადი პირზები

1. ფერმენტული პრეპარატების მიღების წყაროები და მოქმედების მექანიზმი. გამოყენების ჩვენებები.
2. პროტეოლიზური ფერმენტების ინჰიბიტორების მოქმედების პრინციპები. გამოყენების ჩვენებები.
3. მჟავების და ტუტეების პრეპარატები. მჟავების და ტუტეების ადგილობრივი და რეზორბციული მოქმედება.
4. მჟავების და ტუტეების მოქმედება საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე. გამოყენების ჩვენებები.
5. მჟავებით და ტუტეებით მწვავე მოწავლა, მკურნალობის პრინციპები.

6. ნატრიუმის და კალიუმის ფიზიოლოგიური როლი (მნიშვნელობა ნერვული და კუნთოვანი სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ნერვული აგზნების გადაცემაში და სხვ.).
7. ნატრიუმის და კალიუმის მარილების ფარმაკოდინამიკა, მათი გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში.
8. კალციუმის მარილების ფარმაკოლოგიური თვისებები.
9. მაგნიუმის მარილების ფარმაკოდინამიკა. ეფექტის დამოკიდებულება შეყვანილ დოზაზე და გზაზე (საფაღირაო, ნალველმდენი, ჰიპოტენზიური, კურარესეპტორი, ნარკოტიკული მოქმედება) კალციუმის და მაგნიუმის იონებს შორის ანტაგონიზმი.
10. ნატრიუმის, კალიუმის, კალციუმისა და მაგნიუმის მარილების გამოყენება პლაზმის შემცვლელი სითხეების და პერფუზიული ხსნარების დასამზადებლად.
11. იზოტონური ხსნარები, პლაზმის და სისხლის შემცვლელი სითხეები.
12. გლუკოზა და მისი ენერგეტიკული მნიშვნელობა, ანტიტოქსიკური და ოსმოსური მოქმედება. გამოყენება.
13. ჟანგბადი, მისი თვისებები და ფიზიოლოგიური როლი. გამოყენების ჩვენები.

## პრეპარატები

### მჟავები და ტუტეები

Acidum hydrochloricum dilutum	Magnesii oxydum
Natrii hydrocarbonas	

### ტუტე და ტუტემიწა ლითონების მარილები

Natrii chloridum	Calcii gluconas
Kalii chloridum	Magnesii sulfas
Calcii chloridum	

### ფერმენტული პრეპარატები

Trypsinum crystallisatum	Mezym
Succus gastricus naturalis	Lydasum
Pepsinum	
Pencreatinum	

### პროტეოლიზური ფერმენტების ინჰიბიტორები

Contrykal

Acidum aminocapronicum

პლაზმის შემცვლელი ხსნარები

Reopolyglucinum

Neohaemodesum

„Trisolum“

სხვა საშუალებები

Clucosum

Oxygenium

## მეცნიერებისათვის მომზადება

### დაგალება 1

გამოწერეთ რეცეპტები:

1. ნატრიუმის ჰიდროკარბონატის არადოზირებული ფხვნილი.
2. ნატრიუმის ქლორიდის ჰიპეტრონული ხსნარი ფლაკონებში.
3. კალიუმის ქლორიდი ამპულებში.
4. კალციუმის ქლორიდის ხსნარი შიგნით მისაღებად.
5. კალციუმის გლუკონატი ამპულებში.
6. მაგნიუმის სულფატი ამპულებში.
7. კრისტალური ტრიფსინი ფლაკონებში.
8. კონტრიკალი მწვავე პანკრეატიტის დროს.
9. მეზიმი დრაჟეებში.
10. რეოპოლიგლუკინი.
11. გლუკოზა ამპულებში.

### სასწავლო-კვლევითი სამუშაო

გამოწერეთ რეცეპტები და ჩამოყოლებები ანალიზი.

1. განზავებული მარილმჟავა პეფსინთან შიგნით მისაღებად მიქსტურაში.
2. დამწვარი მაგნეზიის არადოზირებული ფხვნილი.
3. ნატრიუმის ჰიდროკარბონატის ხსნარი პარენტერალური შეევანისათვის.
4. ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარი.
5. კალიუმის ქლორიდი შიგნით მისაღებად ჰიპოკალიემიური მოვლენების დროს.
6. კალციუმის ქლორიდის ხსნარი ინტრავენური გადასხმისათვის.
7. კალციუმის გლუკონატი ტაბლეტებში.
8. ლიდაზა ფლაკონებში.
9. პანკრეატინი ტაბლეტებში.
10. რეოპოლიგლუკინი ფლაკონებში.
11. გლუკოზა ფლაკონებში.

### დაგალება 2

დაასაბუთეთ პრეპარატის, მისი სამკურნალწამლო ფორმის, დოზირების, კონცენტრაციის და შეევანის გზის არჩევანი:

1. პრეპარატი, რომელიც გამოიყენება აციდოზის ლიკვიდაციისათვის.

- ნატრიუმის პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ფილტვებიდან, კუჭიდან და ნაწლავებიდან სისხლდენის დროს.
- კალიუმის მარილი, რომელიც გამოიყენება სათითურას პრეპარატით გამოწვეული ინტოქსიკაციის დროს.
- არაორგანული პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ტეტანისა და სპაზმოფილიის დროს.
- კალციუმის პრეპარატი, რომელიც შეიყვანება კუნთებში ალერგიული და სხვა დაავადებების დროს.
- მაგნიუმის პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ჰიპერტონული დაავადების სამკურნალოდ და ჰიპერტონული კრიზის კუპირებსათვის.
- პრეპარატი, რომელიც ახდენს ნეკროზული ქსოვილის ლიზისს.
- პრეპარატი, რომელიც შეიცავს ჰიალურონიდაზას.
- პრეპარატი, რომელიც გამოიყენება პარენტერალური კვებისათვის.
- გლუკოზა, ტოქსიკონფექციებისა და სხვა ინტოქსიკაციის სამკურნალოდ.

### **დავალება 3**

შეისწავლეთ მუავებისა და ტუტების ადგილობრივი მოქმედება ცდით ცილის მოდულზე.

ქათმის ერთი კვერცხის ცილა გავხსნათ 200 მლ ნატრიუმის ქლორიდის იზოტონურ სსნარში. შემდეგ ოთხ სინჯარაში ჩავასხათ თითოში 2 მლ ეს სსნარი და ჰიპეტით ფრთხილად დაუმატოთ სამ-სამი წვეთი: ჰირველში აზოტმუავა, მეორეში – მარილმუავა, მესამეში – გოგირდმუავა, მეოთხეში – მწვავე კალიუმი. მივაქციოთ ყურადღება ცვლილებებს, ავხსნათ ეს ცვლილებები, მოქმედების მექანიზმი და მივუთითოთ ცილის რომელი მოლეკულების ხარჯზე ხდება ტუტება და მუავას შორის ურთიერთქმედება.

### **დავალება 4**

გაეცანით ამ თემის პრეპარატებს სასწავლო კოლექციაში, განსაზღვრეთ რომელ ფარმაკოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი და ჩვენებები მიღებისათვის.

### **რეზერატის თემები:**

- მუავათი და ტუტები მოწამვლის დროს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.
- პლაზმის შემცვლელი სსნარების ფარმაკოლოგია.

## თემა №36

საპონტო მეცნიერება: ნივთიერებათა ცვლაზე

მოძღვანი საშუალებათა ფარმაკოლოგია

### პირითადი პირზები

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა თემებში 32-35 მოცემული კითხვების მიხედვით.

### პრეპარატები

32-35 თემებში მოცემული ფარმაკოლოგიური ჯგუფების შესაბამისი აუცილებელი პრეპარატების ჩამონათვალი.

### მეცნიერებისათვის მომზადება

გამოწერეთ რეცეპტები და ჩატარეთ მათი ფარმაკოთერაპიული ანალიზი.

1. ასკორბინის მჟავა ამპულებში მოზრდილისა და 6 წლის ბავშვისათვის, ფხვნილებში რუტინთან ერთად.
2. რუტინი ტაბლეტებში.
3. თიამინის ქლორიდი ამპულებში, ფხვნილებში რიბოფლავინთან და ნიკოტინმჟავასთან ერთად.
4. რეტინოლის აცეტატის ზეთოვანი სსნარი შიგნით მისაღებად.
5. ვიკასოლი ტაბლეტებში და ამპულებში.
6. პერიოდოქსინის ჰიდროქლორიდი ამპულებში მოზრდილისა და 8 წლის ბავშვისათვის.
7. ტოკოფეროლის აცეტატი კაფსულებში, ამპულებში მოზრდილისა და 6 წლის ბავშვისათვის.
8. ლიდაზა.
9. კრისტალური ტრიფ्सინი.
10. პრედნიზოლონის მალამო, ტაბლეტებში მოზრდილისათვის და 6 წლის ბავშვისათვის.
11. სინესტროლი ტაბლეტებში და ამპულებში.
12. დეზოქსიკორტიკოსტერონის აცეტატი ამპულებში.
13. კორტიკოტროპინი.
14. მერკაზოლილი ტაბლეტებში.
15. ინსულინი.
16. ბუტამიდი მოზრდილისა და 6 წლის ბავშვისათვის.

17. რეტაბოლილი ამპულებში.
0. მაგნიუმის სულფატის არადოზირებული ფხვნილი, მოზრდილისა და 6 წლის ბავშვისათვის.
  0. ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური და ჰიპერტონული ხსნარები პარენტერალური შეყვანისათვის.
  0. კალციუმის გლუკონატი ამპულებში, ტაბლეტებში მოზრდილისა და 5 წლის ბავშვისათვის.
  0. ნატრიუმის ჰიდროკარბონატი ინტრავენური შეყვანისათვის, პირის დრუში გამოსავლებად.
  0. კალიუმის ქლორიდი ამპულებში და ხსნარი.
  0. კალციუმის ქლორიდის მიქსტურა მოზრდილისა და 4 წლის ბავშვისათვის.
  0. განზავებული მარილმჟავა პეფსინთან ერთად მიქსტურაში და წვეთები შიგნით მისაღებად.
  0. გლუკოზა იზოტონურ და ჰიპერტონულ ხსნარში პარენტერალური შეყვანისათვის.
  0. იბუპროფენი.
  0. ინდომეტაცინი.
  0. დიაზოლინი.
  0. დიმედროლი ამპულებსა და ტაბლეტებში.
  0. სუპრასტინი ამპულებში მოზრდილისა და 6 წლის ბავშვისათვის.
  0. გალასკორბინის ხსნარი დრძილების აპლიკაციისათვის.
  0. ჰიდროკორტიზონი საფეთქელ-ქვედაყბის სახსრის ართორზის სამკურნალოდ.
  0. მეფენამინი ნატრიუმის მარილის ხსნარი და პასტა.

## **ამონენით ზარმაპოლობიური ამოცანები**

33. პრეპარატი, ორგანიზმში ჟანგვა-ალდგენითი პროცესების კატალიზატორია, მონაწილეობს მხედველობის ორგანოს, ნერვულის, ცრემლის და საოფლეჯირგლების ნორმალურად ფუნქციონირებაში, ხელს უწყობს ახალგაზრდა ორგანიზმის ზრდასა და განვითარებას. აუცილებელია კანისა და ლორწოვანი გარსების განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ზრდის ორგანიზმის ინფექციისადმი რეზისტენტობას. პრეპარატი ინიშნება ჰიპო- და ავიტამინოზის, ქსეროფტალმიის, ჰემეროლოპიის, კერატომალაციისა და კერატიტების დროს. განსაზღვრეთ პრეპარატი, რომელ ჯგუფს მიეკუთვნება.

გამოწერეთ რეცეპტი ხსნარის სახით შიგნით მისაღებად.

33. მუქი წითელი ფერის ფხვნილი, სტრუქტურაში შეიცავს კობალტს. გამოშვებულია ამჟულებაში და გამოიყენება პიპერქრომული ანემიის დროს. შეიყვანება კუნთებში, ინტრავენურად და ინტრალუმბალურად.
- განსაზღვრეთ საშუალება, მისი ფარმაკოლოგიური ჯგუფი. გამოწერეთ რეცეპტი.
33. ცეიმში ხსნადი ვიტამინური პრეპარატი. მოქმედებს ორგანიზმში ფოსფორისა და კალციუმის ცვლაზე. ხელს უწყობს კალციუმის ჩალაგებას ძვლოვან ქსოვილსა და დენტინში. ორგანიზმში მისი უკმარისობის შემთხვევაში ზიანდება გაძვლოვანების პროცესი, დეფორმირდება ხერხემალი, გულ-მკერდი, ხშირად აღინიშნება ქვედა კიდურების გამრუდება, ირდვევა კბილების სტრუქტურა და მათი განლაგება (თანკბილვა). აღინიშნება კუნთების პიპოტონია. მოზრდილებაში პიპოვიტამინოზისას შეიძლება აღნიშნოს ოსტეომალაცია და ოსტეოპოროზი.
- განსაზღვრეთ პრეპარატი. გამოწერეთ რეცეპტი შიგნით მისადები ხსნარის ფორმით.
33. ტაქსის მძღოლმა მიიყვანა საავადმყოფოში მგზავრი არაადექვატური ქცევით, არეული გონებით, შიმშილის გრძნობითა და კიდურების კანკალით. მდგომარეობა გაუარესდა – ავადმყოფმა დაკარგა გონება, განვითარდა კომა, მყესოვანი რეფლექსები არ აღინიშნება. პიპოგლიკემია.
- განსაზღვრეთ საშუალება, რომელიც იწვევს საშიშ სიმპტომებს. მიუთითეთ დახმარების დონისძიებები. გამოწერეთ რეცეპტი.
33. არასაკმარისი კვების შედეგად ავადმყოფს განუვითარდა დაავადება, რომელსაც ახასიათებს კანის (დერმატიტი), კუჭ-ნაწლავის ტრაქტის (ანორექსია, გულის რევა, გასტრიტი, დიარეა) დაზიანება, უმაღლესი ნერვული სისტემის მოქმედების დაზიანება (დემენცია). პაციენტს დაენიშნა ვიტამინური პრეპარატი.
- განსაზღვრეთ პრეპარატი, მისი ფარმაკოლოგიური ჯგუფი. გამოწერეთ პრეპარატის რეცეპტი მაღამოს სახით.
33. პრეპარატი წარმოადგენს პიპოფიზის უკანა წილის ჰორმონს. ხელს უწყობს მიომეტრიუმის შეკუმშვას, არტერიული სისხლძარღვების შევიწროვებას და არტერიული წნევის მომატებას. უზრუნველყოფს სისხლის ოსმოსურ ჰომოსტაზს თირკმლის სადინარებში წყლის რეაბსორბციის გაზრდითა და ქლორიდების რეაბსორბციის შემცირების გზით. დოზირება ხდება მოქმედების ერთეულებში.

განსაზღვრეთ პრეპარატი, მისი ფარმაკოლოგიური ჯგუფი. გამოწერეთ რეცეპტი ხსნარის სახით პარენტერალური მიღებისათვის.

7. ფერმენტების კოფერმენტი, რომელიც მოქმედებს ნახშირწყლოვან ცვლაში. პრეპარატი უზრუნველყოფს ნერვული სისტემის, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, გულის მუშაობის და ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციონირებას. გამოიყენება ნევრიტის, პოლინევრიტის, რადიკულიტის, პერიფერიული დამბლების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების, გიდ, ასევე კანის დაავადებების დროს.

განსაზღვრეთ პრეპარატი, მისი ფარმაკოლოგიური ჯგუფი. გამოწერეთ რეცეპტი ხსნარის სახით პარენტერალური მიღებისათვის.

8. მსხვილფეხა საქონლის ფილტვისაგან მიღებული პოლიპეპტიდური ადნაგობის საშუალება. გამოშვებულია მშრალი სახით ამპულებში, დოზირებულია მოქმედების ერთეულებში. მოქმედება ემყარება პროტელიზურ ფერმენტებთან (ტრიპteinი, ქიმოტრიპteinი, კალიკრეინი, პლაზმინი) არააქტიური კომპლექსების წარმოქმნას. შეიყვანება ინტრავენურად იშვიათად მუცლის ღრუში მწვავე პანკრეატიტის, პანკრეონეკროზის, ფიბრინოლიზის აქტივაციასთან დაკავშირებული ჰიპოფიბრინოგენური სისხლდენების დროს.

განსაზღვრეთ პრეპარატი და მისი ფარმაკოლოგიური ჯგუფი. გამოწერეთ რეცეპტი.

9. ვიტამინის სინთეზური ანალოგი, გამოიყენება სისხლში პროთრომბინის დაქვეითებით გამოწვეული სისხლდენისას. პრეპარატი ინიშნება შიგნით და კუნთებში.

განსაზღვრეთ პრეპარატი. გამოწერეთ რეცეპტი და მიუთითეთ კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენების თავისებურებანი.

10. ტეტრაჰიდროკარბოლინების ჯგუფის H<sub>1</sub>-ჰისტამინორეცეპტორების დამაკნინებელი საშუალება. ამ ჯგუფის სხვა პრეპარატებთან შედარებით ეს პრეპარატი უფრო ხშირად ინიშნება პედიატრიულ პრაქტიკაში მწვავე და ქრონიკული ალერგიული დაავადებების დროს, რადგან არ ამჟღავნებს სედატიურ მოქმედებას.

განსაზღვრეთ პრეპარატი და მისი ფარმაკოლოგიური ჯგუფი. გამოწერეთ რეცეპტი.

11. შიგნით მიღებისას მარილი ცუდად შეიწოვება სისხლში, ნაწლავის სანათურში ცვლის ოსმოსურ წნევას, აკავებს სისხლს, ახდენს საფალარაო მოქმედებას. გარდა ამისა, იწვევს ნაღვლის ბუშტის რეფლექსურ შეკუმშვას და ახდენს ნაღველმდენ მოქმედებას. პარენტერალური შეყვანისას იწვევს

მიოგროპულ სპაზმოლიზურ მოქმედებას, თრგუნავს ცნს-ს, აქვეითებს სისხლძარღვთა მამოძრავებელი ცენტრის აგზებადობას, ამჟღავნებს ტოკოლიზურ მოქმედებას.

განსაზღვრეთ საშუალება, მისი ფარმაკოლოგიური ჯგუფი, ჩამოთვალეთ გამოყენების ჩვენებები. გამოწერეთ რეცეპტი.

33. ავადმყოფმა, რომელსაც აწუხებს კუჭის წვის შეგრძნება, მიიღო როგორც ანტაციდური საშუალება-თეთრი ფხვნილი (1 ჩაის კოვზი), რომელიც იყო სამზარეულოს კარადაში. მიღებისთანავე დაეწყო ტკივილები და წვა პირის დრუში, საყლაპავსა და კუჭში, ლორწოვანის ნეკროზული ცვლილებები. აღინიშნებოდა წყურვილი, ნერწყვდენა, გულის რევა, პირდებინება სისხლით, სისხლიანი ფალარათი, კუჭის პერფორაცია, ტკივილისაგან შოკი, ალკალოზის მოვლენები.

განსაზღვრეთ საშუალებათა ჯგუფი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს აღწერილი სიმპტომები. გამოწერეთ პრეპარატების რეცეპტები, რომლებიც გამოიყენება შოკის საწინააღმდეგო ბრძოლისას.

33. მძღოლმა წყურვილის მოსაკლავად დალია სითხე მინერალური წყლის ბოთლიდან. დალევისთანავე იგრძნო წვა, მწვავე ტკივილი პირის დრუში, საყლაპავში, გულმკერდის არეში, კუჭში. დაეწყო სისხლიანი პირდებინება, ხორხის სპაზმი და დამბლა, ანურია, ფილტვების შეშუპება. აღინიშნება აციდოზის მოვლენა.

განსაზღვრეთ საშუალებათა ჯგუფი, რომლებიც იწვევს ამგვარ მოწამვლას. მიუთითეთ დახმარების ღონისძიებები, გამოწერეთ რეცეპტები, რომლებიც გამოიყენება აციდოზის ლიკვიდაციისათვის.

33. პრეპარატები აძლიერებს ცილების სინთეზს, რაც გამოიხატება ჩონჩხის კუნთების, ძვლების, პარენქიმული ორგანოების მასის მომატება.

განსაზღვრეთ ფარამაკოლოგიური ჯგუფი საშუალებებისა, ჩამოთვალეთ გამოყენების ჩვენებები. გამოწერეთ ერთ-ერთი პრეპარატის რეცეპტი.

33. უჯრედშიდა იონი. მისი ცვლის რეგულაციას ახორციელებს ჰიპოფიზი და მინერალოკორტიკოიდები. ძირითადი ფიზიოლოგიური მნიშვნელობა მდგომარეობს ნერვული იმპულსის გატარებასა და გადაცემაში, ასევე არეგულირებს გულის, ცნს-ის, კუნთების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების რეგულაციას.

განსაზღვრეთ ელექტროლიტი, დაასახელეთ მისი პრეპარატი, მიუთითეთ გამოყენების ჩვენებები. გამოწერეთ რეცეპტში შიგნით მისაღებად.

## **სასწავლო-კვლევითი სამუშაო**

### **დავალება 1**

გამოწერეთ რეცეპტი, მიუთითეთ ფარმაკოლოგიური ჯგუფი.

8. ასკორბინის მჟავა მოზრდილთათვის ამპულებში.
8. რეტინოლის აცეტატის ზეთოვანი ხსნარი შიგნით მიღებისათვის.
8. ლიდაზა.
8. გლუკოზა იზოტონურ ხსნარში.
8. ბუტამიდი 6 წლის ბავშვისათვის.
8. სინესტროლი ამპულებში.
8. კალციუმის გლუკონატი ტაბლეტებში მოზრდილთათვის.
8. ერგოკალციფეროლი რაქიტის პროფილაქტიკისათვის წვეთებში, შიგნით მისაღებად.
8. პრეპარატი, რომელიც გამოიყენება აციდოზის ლიკვიდაციისათვის.
8. ანტიორეოიდული საშუალება, რომელიც ამცირებს თიროქსინის სინთეზს.

### **დავალება 2**

ამოხსენით ფარმაკოლოგიური ამოცანა.

### **დავალება 3**

ჩამოთვალეთ შემდეგი ფარმაკოლოგიური ჯგუფის პრეპარატები ლათინურ ენაზე, მიუთითეთ დოზები და სამკურნალწამლო ფორმები: პროტეოლიზური ფერმენტების ინჰიბიტორები, ანტიპისტამინური პრეპარატები.

### **დავალება 4**

გაეცანით ამ თემის პრეპარატებს სასწავლო კოლექციაში, განსაზღვრეთ რომელ ფარმაკოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი და ჩვენებები მიღებისათვის.

მედიკამენტური საშუალებების და შხამებით მწვავე  
გორგამვლის მაურნალობის ძირითადი პრინციპები

ძირითადი კითხვები

54. მწვავე მოწამვლის მკურნალობის ძირითადი პრინციპები.
54. ორგანიზმში შხამის მოხვედრის შეწყვეტის ღონისძიებები (კანზე, ლორწოვან გარსზე, ინჰალაციური გზით და პირის დრუს საშუალებით მოხვედრისას).
54. პირის დრუს საშუალებით მიღებული შხამის გაუვნებელყოფის საშუალებები. მშთანთქავი, შემომგარსველი, შემკვრელი, სასაქმებელი და საფალარაოო საშუალებების გამოყენება.
54. შხამის გაუვნებელყოფა მისი რეზორბციის შემდეგ. ნტიდოტები, ინფუზიური თერაპია (სისხლის, იზოტონური ხსნარების, პლაზმის და სისხლის შემცვლელი სითხეების მორიგეობით გადასხმა).
54. ორგანიზმიდან შეწოვილი შხამის გამოყოფის დაჩქარება (ფორსირებული დიურეზი, ჰემოდიალიზი, პერიტონეალური დიალიზი).
54. ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური ფუნქციების (სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა) ნორმალიზაცია.
54. სიმპტომური და პათოგენეზური თერაპიის დროს გამოყენებული სამკურნალო საშუალებები.
54. დახმარება სამკურნალო საშუალებებით მოწამვლის დროს: ქოლინოდამაკნინებელი, ანტიქოლინესთერაზული საშუალებებით, მიორელაქსაციური, ადგილობრივი საანესთეზიო, ძილის მომგვრელი, არანარკოტიკული ანალგეზიური, ნეიროლეფსიური საშუალებებით, ეთილის სპირტი, ქინაქინი, გერცხლისწყლის ნაერთები, დარიშხანი, ციანიდები, ნიტრიტები, ანტიკოაგულანტები, ინსულინი, გულის გლიკოზიდები, კონცენტრირებული მჟავები, მწვავე ტუტები.

პრეპარატები

Adrenalini hydrochloridum  
Aethimizolum

Apomorphini hydrochloridum  
Atropini sulfas

Alloximum	Calcii chloridum
Aminazinum	Carbo activatus
Coffeignum-natrii benzoas	Hydrocortisoni acetas
Deferoxaminum	Kalii chloridum
Diazepamum	Kalii permanganas
Dipiroximum	Magnesii sulfas
Natrii hydrocarbonas	Mannitum
Natrii thiosulfas	Mesatonum
Pentaminum	Nalorphini hydrochloridum
Polyglucinum	Solutio Camphorae oleosa
Promedolum	Solutio Natrii chlondi isotonica
Proserinum	Strophanthinum
Solutio Ammonii caustici	Sulfocomphocainum
Dinatrii aethylendiamintetacetas	Tanninum
Enterosgelum	Tetacinum-calcium
Euphyllinum	Unithiolum
Glucosum	

### მეცანიერებისათვის მოსამზადებლად

გამოწერეთ რეცეპტები:

15. ამიაკის ხსნარი შესასუნთქად.
15. გააქტიურებული ნახშირის არადოზირებული ფხვნილი.
15. ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარი.
15. მაგნიუმის სულფატი ამპულებში და არადოზირებული ფხვნილის ფორმით.
15. კალიუმის ქლორიდი პარენტერალური შეყვანისათვის.
15. პოლიგლუკინი.
15. კოფეინის ბენზოატი ამპულებში.
15. ატროპინის სულფატი ამპულებში.
15. დიპიროქსიმი ამპულებში.
15. უნითოოლი ამპულებში.

## სასტაციო-კვლევითი სამუშაო

### დავალება 1

გამოწერეთ რეცეპტები და ჩამონაბრუნვის ფარმაკოთერაპიული ანალიზი.

10. აპომორფინის ჰიდროქლორიდი ამჟღალება.
10. ენტეროსგელი შიგნით მისაღებად.
10. კალიუმის პერმანგანატი კუჭის ამოსარეცხად.
10. გლუკოზი იზოტონურ და ჰიპერტონულ ხსნარებში.
10. მანიტი ინიექციისათვის.
10. ალოქსიმი ფოსფოროგანული ნაერთებით მოწამვლის სამკურნალოდ.
10. სულფოკამფოკაინი ამჟღალება.
10. დეფეროქსამინი რკინის პრეპარატებით მოწამვლის სამკურნალოდ.
10. ნალორფინის ჰიდროქლორიდი მორფინით მოწამვლის სამკურნალოდ.
10. ტეტაცინ კალციუმი პარენტერალური შეყვანისათვის.

### დავალება 2

დაასაბუთეთ პრეპარატის, მისი სამკურნალწამლო ფორმის, დოზის, კონცენტრაციის და შეყვანის გზის არჩევანი:

10. ადსორბენტი მოწამვლის დროს.
10. პლაზმის შემცვლელი, სადეზინტოქსიკაციო, შოკის საწინააღმდეგო საშუალება.
10. ცენტრალური მოქმედების მექანიზმის სასაქმებელი საშუალება.
10. დეპიდრატაციის საშუალება.
10. მარილოვანი საფადარათო საშუალება, რომელიც გამოიყენება მოწამვლის დროს.
10. საშუალება, რომელიც ინარჩუნებს არტერიულ წნევას ცნს-ის დამთრგუნავი საშუალებებით მოწამვლის დროს.
10. ანტიდოტი ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებების მოწამვლისას.
10. საშუალება, რომელიც ახდენს მოწამვლის დროს კრუნჩხვის კუპირებას.
10. მორფინით მოწამვლისას კუჭის ამოსარეცხი საშუალება.
10. თიოზხამებით (გოგირდოვანი) მოწამვლის ანტიდოტები.
10. ქოლინესტერაზის რეაქტივატორი. პრეპარატები.

## დავალება 3

ამოხსენით ფარმაკოლოგიური ამოცანა.

1. მოწამვლის სიმპტომები: თავბრუ, კანისა და ლორწოვანი გარსების სიმშრალე, წყურვილი, ყლაპვის გაძნელება, გუგების გაფართოება, ახლოს მდებარე საგნების ცუდად დანახვა, მოუსვენრობა, ჰალუცინაციები, ყბედობა, უნებლიერ სიცილი, ჩახლებილი ხმა, ქოშინი, დასაწყისში შენელებული შემდეგ გახშირებული პულსი. მოძრაობითი აგზება, რომელსაც ცვლის შეკავება კომის განვითარებით. სუნთქვის ცენტრის დამბლა და ასფიქსით გამოწვეული სიკვდილი.

განსაზღვრეთ, რომელი სამკურნალო პრეპარატითაა გამოწვეული მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

2. მოწამვლის სიმპტომები: ძილიანობა ან ღრმა ძილი, რომელიც მძიმე შემთხვევაში გადადის კომაში, სუნთქვის დათრგუნვა, ანურია, არტერიული წნევის დაქვეითება, გულის მუშაობის პროგრესირებადი სისუსტე, სხეულის ტემპერატურის დაქვეითება.

განსაზღვრეთ სამკურნალო საშუალებათა რომელი ჯგუფის პრეპარატმა გამოიწვია მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

3. მოწამვლის სიმპტომები: ძილიანობა, გუგების შევიწროება, ხმაურიანი, იშვიათი სუნთქვა, ზოგჯერ ჩეინ-სტოქსის, ციანოზი, კიდურების გაციება, შარდისა და დეფეკაციის შეზღუდვა. მუხლის რეფლექსი შენარჩუნებულია.

განსაზღვრეთ, რომელი პრეპარატით მოხდა მოწამვლა. მოწამვლის დროს დახმარება (გამოწერეთ რეცეპტი).

4. მოწამვლა დიდი რაოდენობით ოხევადი საშუალების შიგნით მიღების შედეგად. მოწამვლის სიმპტომები: ეიფორიის სტადიისა და ხანმოკლე აგზებულობის შემდეგ ვითარდება პირდებინება და კომა. შესაძლებელია ჰალუცინაციები და ბოდვა. დამახასიათებელია პირის დრუში სპეციფიკური სუნი. სახის ჰიპერემია, სხეულის ტემპერატურის დაქვეითება. პულსი ხშირი, სუსტი ავსების. სუნთქვა შენელებული. ზოგჯერ კრუნჩებები, პირდებინების მასის ასპირაცია, ლარინგოსაზმი. შესაძლებელია სუნთქვის შეჩერება, ხშირად მექანიკური ასფიქსიის შედეგად შემდგომი გულის მუშაობის შესუსტებით.

განსაზღვრეთ რომელი საშუალებით მოხდა მოწამვლა. დახმარება მოწამვლისას (გამოწერეთ რეცეპტი).

5. მოწამვლის სიმპტომები: პირის ლორწოვანზე გაღიზიანების ადგილობრივი ნიშნები და მომწველი მოქმედება, პირში ლითონის გემო, შემაწუხებელი, განუწყვეტელი პირლებინება, ფალარათი ტენეზმებით, პირნალები მასა და განავალი სისხლნარევი, მკვეთრი ტკივილები მუცელში, წყლულოვანი სტომატიტი, ჰემორაგიული კოლიტი, ოლიგურია, ანურია, ნეკრონეფროზი, ურემია.

განსაზღვრეთ რომელმა პრეპარატმა გამოიწვია მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

6. მოწამვლის სიმპტომები: სისხლდენა ცხვირიდან, შინაგანი ორგანოებიდან, ჰემატურია, კანზე და კუნთებში მრავლობითი სისხლჩაქცევები. ჰემორაგიული ინფარქტი.

განსაზღვრეთ მოწამვლის გამომწვევი პრეპარატი, რომელ ჯგუფს მიეკუთვნება. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

7. მოწამვლის სიმპტომები: კანისა და მყესოვანი რეფლექსების მომატება, ქოშინი, კეფის კუნთების დაჭიმულობა, ყბის ტრიზმი, ტეტანური კრუნჩები (ოპისტოტონუსამდე), მცირე გაღიზიანების დროსაც კი სუნთქვის კუნთების სპაზმი გულმკერდის რიგიდობის განვითარებით (კრუნჩები ვითარდება აღმავალი გზით, კრუნჩების შორის მონაკვეთში აღინიშნება კუნთების მოლიანი მოდუნება).

განსაზღვრეთ, რომელმა პრეპარატმა გამოიწვია მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

8. მოწამვლის ძირითადი სიმპტომებია: ჰიპერსალივაცია, პროფუზული ოფლი; გულისრევა, პირლებინება, ტკივილი მუცელში, ფალარათი. მიოზი, აკომოდაციის სპაზმი. არტერიული წნევის დაქვეითება კოლაფსამდე ბრონქის სპაზმისა და ბრონქული ჯირკვლების სეკრეციის გაძლიერების გამო სუნთქვის გაძლიერება. ციანოზი. კრუნჩები. სიკვდილი ასფიქსიის შედეგად.

განსაზღვრეთ, რომელი ჯგუფის პრეპარატმა გამოიწვია მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

9. მოწამვლის სიმპტომები: ქუთუთოების დამბიმება, დიპლოპია, მეტყველებისა და ყლაპვის გაძნელება, კიდურების, ყელის, ნეკნთაშუა ბოლოს დიაფრაგმის კუნთების მოდუნება. სიკვდილს იწვევს სუნთქვის დამბლა.

განსაზღვრეთ, რომელმა სამკურნალო პრეპარატმა გამოიწვია მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

10. მოწამვლის სიმპტომები: თავის ტკივილი, სახის და სხეულის ზედა ნაწილის კანის შეწითლება, პირდებინება, თავბრუსხევება, არტერიული წნევის მკვეთრი დაქვეითება, კომატოზური მდგომარება, ციანოზი, სუნთქვის დამბლა. სისხლს აქვს შოკოლადისფერი შეფერილობა. სისხლის სპექტრზე წარმოიქმნება შთანთქმის დამატებითი მოწითალო-მოსტაფილოსფრო ნაწილი.

განსაზღვრეთ, რომელი ჯგუფის საშუალებამ გამოიწვია მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

11. მოწამვლის სიმპტომები: შიმშილის გრძნობა, ზოგადი სისუსტე, კიდურების კანკალი, გონების დაკარგვა, ბოდვა, კომატოზური მდგომარეობა, კრუნჩებები მყესოვანი რეფლექსების არარსებობა. სისხლის ანალიზი მოწმობს ჰიპოგლიკემიას.

განსაზღვრეთ რომელმა პრეპარატმა გამოიწვია მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

11. მოწამვლის სიმპტომები: პირის ღრუს, საყლაპავის, ხახის, კუჭის ლორწოვანი გარსის დამწვრობა. მკვეთრი ტკივილები ეპიგასტრიუმის არეში, სისხლიანი პირდებინება, ზოგჯერ ფალარათი. ტკივილით გამოწვეული შოკი. ხახის სპაზმი და შეშუპება. ფილტვების შეშუპება. აციდოზის მოვლენები. ჰემოლიზი, ჰემატურია, ალბუმინურია, ანურია. ტოქსიკური ჰეპატიტი.

განსაზღვრეთ, რომელი ჯგუფის ქიმიურმა ნივთიერებამ გამოიწვია მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

11. მოწამვლის სიმპტომები: პირის ღრუს, ხახის, საყლაპავის, კუჭის ლორწოვანი გარსის ღრმა ნეკროზული ცვლილებები. მკვეთრი ტკივილები მუცელში, ყლაპვის გამნელება, ფალარათი, პირდებინება. შესაძლებელია კუჭის ჰერფორაცია შემდგომი ჰერიტონიტით. ტკივილით გამოწვეული შოკი. ალკალოზის მოვლენები.

განსაზღვრეთ, რომელი ჯგუფის ქიმიურმა ნივთიერებამ გამოიწვია მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტები).

11. მოწამვლა ვითარდება პრეპარატების ხანგრძლივი მიღებისას მათი კუმულაციის თვისების გამო. მოწამვლის სიმპტომები: ანორექსია, გულის რევა, პირდებინება, დიარეა. გულის მუშაობის დარღვევა: ბრადიკარდია, პარკუჭოვანი და წინაგულოვანი ექსტრასისტოლიები, გამტარებლობის დარღვევა, ტაქიკარდია, პარკუჭების ციმციმი. შესაძლებელია მხედველობის დაზიანება, ქსანტოფსია, დიპლოპია და სხვა, თავის ტკივილი, სისუსტე, ძილიანობა, ზოგჯერ უძილობა, ჰალუცინაციები, ბოდვა, ქოშინი, ციანოზი, დიურეზის შემცირება, კოლაფსი. სიკვდილს იწვევს გულის გაჩერება.

განსაზღვრეთ რომელი ჯგუფის პრეპარატმა გამოიწვია მოწამვლა. დახმარება მოწამვლის დროს (გამოწერეთ რეცეპტი).

### რეზერატის თემები:

14. მწვავე მედიკამენტური მოწამვლის ფარმაკოლოგიის საფუძვლები.
14. ძილისმომგვრელი საშუალებებით გამოწვეული მოწამვლის მკურნალობა.
14. ვონ ნივთიერებებით გამოწვეული მოწამვლის მკურნალობა.

### თემა №38

#### სიმსივნის საჭირააღმდეგო საშუალებები.

#### რადიოპროტექტორები

#### პირითადი პირხვები

8. სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალებების კლასიფიკაცია ქიმიური სტრუქტურის მიხედვით.
8. თანამედროვე შეხედულებები სხვადასხვა ჯგუფის სისმივნის საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედების მექანიზმების შესახებ.
8. ანტიმეტაბოლური პრეპარატების (ფოლის მჟავას, პურინების, პირიმიდინების ანტაგონისტები) ფარმაკოლოგიური თვისებები. გამოყენების ჩვენებები.
8. მაალკილირებელი სიმსივნის საწინააღმდეგო ნაერთების ფარმაკოლოგიური თვისებები. გამოყენების ჩვენებები.
8. ავთვისებიანი წარმონაქმნების სამკურნალო ანტიბიოტიკები, პორმონული და ფერმენტული პრეპარატები. ცხოველთა ემბრიონალური ქსოვილისაგან მიღებული სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატები.
8. ციტოსტატიკური პრეპარატების იმუნოდეპრესიული მოქმედების მექანიზმი. მცენარეული წარმოშობის ციტოსტატიკური სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატები.
8. ქიმიოთერაპიის გართულებები. პროფილაქტიკა და მკურნალობა.
8. რადიოიზოტოპური პრეპარატების ცნება. დანიშვნის ჩვენებები. გვერდითი ეფექტები.
8. რადიოპროტექტორები და პრეპარატები, რომლებსაც გამოაქვთ რადიონუკლიდები ორგანიზმიდან.

#### პრეპარატები

## ანტიმეტაბოლური

Methotrexatum

Mercaptopurinum

Phthoruracilum

## მაალკილირებელი ნაერთები

Dopanum

Sarcolysinum

Chlorbutinum

Cyclophosphamidum

Myelosanum

## ალკალოიდები

Vinblastinum

Colchaminum

Vincristinum

## ანტიბიოტიკები

Doxorubicini hydrochloridum

Dactinomycinum

## ორმონული

Phosphoestrolum

Prednisolonom

## ფერმენტული

Asparaginasum

## ცხოველური წარმოშობის

Propesum

Erbisolum

## დადიოპროტექტორები

Cystamini dichydrochloridum

Carbulosum

Enterosgelum

## მეცადინებისათვის მომზადება

გამოწერეთ რეცეპტები:

1. მერკაპტოაცურინი ტაბლეტებში.
2. მიელოსანი ტაბლეტებში.
3. ციკლოფოსფანი ამპულებში.
4. დაქტინომიცინი.
5. ვინკრისტინი ამპულებში.
6. მერკაპტოაცურინი 20 კგ წონის ბავშვისათვის.

## სასწავლო-კვლევითი სამუშაო

## დავალება 1

გამოწერეთ რეცეპტები და ჩატარეთ მისი ფარმაკოთერაპიული ანალიზი.

1. მეტოტრეპსატი ტაბლეტებში.
2. დოპანი ტაბლეტებში.
3. კოლხემინის მალამო.
4. დოქსირუბიცინის ჰიდროქლორიდი ფლაკონებში.
5. ფოსფოესტროლი ამპულებში.
6. ასპარაგინაზა ამპულებში.
7. ენტეროსგელი.
8. მეტოტრეპსატი 20 კგ წონის ბაგშვისათვის.

## დავალება 2

დაასაბუთეთ პრეპარატის დოზა, მისი სამკურნალწამლო ფორმის, დოზირების, კონცენტრაციის და შეყვანის გზის არჩევანი:

1. ანტიმეტაბოლური პრეპარატი, ფოლის მჟავის ანტაგონისტი.
2. ანტიმეტაბოლური პრეპარატი, პურინის ანალოგი.
3. ქრონიკული ლიმფოლეიკოზის სამკურნალო მაალკილირებელი პრეპარატი.
4. მცენარეული წარმოშობის პრეპარატი, რომელიც ახდენს ციტოსტატიკურ მოქმედებას.
5. სიმსიგნის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები.
6. ცხოველური წარმოშობის სიმსიგნის საწინააღმდეგო თვისებების მქონე პრეპარატები.

## დავალება 3

რეულში შეადგინეთ შემდეგი შინაარსის ანტიბლასტომური პრეპარატების ცხრილი.

ჯგუფი სიმსიგნის საწინააღმდეგო პრეპარატები (ქიმიური აღნაგობით)	სიმსიგნის საწინააღმდეგო მოქმედების მექანიზმი
--	---

## დავალება 4

გაეცანით ამ თემის პრეპარატებს სასწავლო კოლექციაში, განსაზღვრეთ რომელ ფარმაკოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი და ჩვენებები მიღებისათვის.

## რეზერატის თმები:

- ლეიკონის საწინააღმდეგო პრეპარატები.

## თემა №39

### პირის ღრუს ლორწოვანზე, კულასა და პილის მაბარ ქსოვილებზე მოქმედი საშუალებები

#### ძირითადი პირხვები

- საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სტომატოლოგიაში ადგილობრივი გაუტკივარებისათვის (აპლიკაციური, ინფილტრაციული, გამტარებელი, ინტრალიგამენტური, ინტრაპულპური ანესთეზია).
- ზოგადი გაუტკივარების საშუალებები. არაინჰალაციური ნარკოზის საშუალებები. ნეიროლეპტანალგეზია, ატარაქტანალგეზია (სტომატოლოგიურ პრაქტიკაში).
- სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გაუტკივარებისათვის არანარკოტიკული და ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებების გამოყენება.
- საშუალებები, რომლებიც გამოიყენება პულპის დევიტალიზაციისათვის.
- სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებული ანტიმიკრობული საშუალებები.
- საშუალებები, რომლებიც ასტრიმულირებს ძვლის ქსოვილში რეპარაციულ პროცესებს.
- საშუალებები, რომლებიც გამოიყენება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების დროს (შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო, ალერგიის საწინააღმდეგო, ანტივირუსული, სოკოს საწინააღმდეგო, რბილი ქსოვილების რეპარაციის ხელშემწყობი საშუალებები).
- სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გადაუდებელი დახმარების თერაპიის საშუალებები.

#### პრეპარატები

ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები

Anaesthesia

Ultracaini hydrochloridum

Lidocainum

## შემკვრელი საშუალებები

Tanninum	Infusum folli Salviae
Decoctum corticis Quercus	

## პულპის დევიტალიზაციის საშუალებები

Acidum arsenicum anhydrycum	Paraformaldehydum
კარიესის პროფილაქტიკისა და სამკურნალო საშუალებები	
Natrii fluoridum	Calcii gluconas

Pasta „Calxil“

## ანტისეპტიკური საშუალებები

Chloraminum	Furacillinum
Clorhexidini bigluconas	Dimexidum
Kalii permanganas	Aethonium
Sol. Hydrogenii peroxydi dilutae	Chlorophylliptum
Phenolum purum	Ioddicerinum
Thymolum	Sol. Iodi spirituosae
Resorcinum	Argenti nitras
Formalinum	Zinci oxydum
Natrii totraboras	Bismuthi subnitras
Viride nitens	Natrii usninas
Methylenum coerulenum	Eugenolum
Citralum	Spiritus aethylicus

## ლორწოვანის რეგენერაციის ხელშემწყობი საშუალებები

Methyluracylum	Aevitum
Soleoseryl	Oleum Rosae

## ანთების საწინააღმდეგო საშუალებები

Natrii mefenaminas	Tinctura Calendulae
--------------------	---------------------

## ანტივირპესული

Acyclovir

## ანტიბიოტიკები

Doxycyclini hydrochloridum	Gentamycini sulfas
Lincomycini hydrochloridum	Amoxicillinum
Microcidum	Novoimananum

## სოკოს საწინააღმდეგო

Nystatinum	
Ketoconazolum	Clotrymazolum
<b>ფერმენტული პრეპარატები</b>	
Trypsini crystallisatum	Lydasum
<b>ტრიქომონადის საწინააღმდეგო</b>	
Metronidazolum	Ketoconazolum
Clotrymazolum	

### მეცადინებისათვის მომზადება

გამოწერეთ რეცეპტები:

8. სოლკოსერილის მალამო დამწვრობის დროს რეგენერაციის პროცესების დასაჩქარებლად.
8. ნატრიუმის ტეტრაბორატის ხსნარი გლიცერინზე, კანდიდოზის დროს პირის დრუს ლორწოვანაზე წასასმელად.
8. ფურაცილინის ხსნარი, გინგივიტის დროს პირის დრუში გამოსავლებად.
8. მეთოლენის ლურჯის ხსნარი, პირის დრუს ეროზიაზე წასასმელად.
8. წყალბადის ზეჟანგის ხსნარი, ფესვების არხების დასამუშავებლად.
8. სალბის ფოთლების ნაყენი გინგივიტის დროს პირის დრუში გამოსავლებად.
8. მიკროციდი პირის ლუში გამოსავლებად.
8. მეფენამინატის ნატრიუმი სტომატოლოგიურ პასტაში.
8. აციკლოვირი მალამოში პირის დრუს პერპესული დაზიანების დროს.
8. ეტონიუმის ხსნარი პირის დრუს ლორწოვანი გარსის ეროზიულ-ლორწოვანი დაზიანებებისას აპლიკაციისათვის.
8. დოქსიციკლინის პიდროქლორიდი პასტაში პულპიტის სამკურნალოდ.
8. კრისტალური ტრიფსინი ფესვის არხის დასამუშავებლად.
8. გერცხლის ნიტრატის ხსნარი კარიესული გარსების და ფესვის არხის დასამუშავებლად.
8. იოდიცერინი პირის დრუს ლორწოვან გარსზე წასასმელად.

# სასტაციურ-კვლევითი სამუშაო

## დაგალება 1

გამოწერეთ რეცეპტები და ჩატარეთ მისი ფარმაკოთერაპიული ანალიზი.

1. დარიშხანის ანჰიდრიდი პასტაში კბილის პულპის დევიტალიზაციისა-თვის.
2. რეზორცინ-ფორმალინის პასტას დამატებული თუთიის ოქსიდი და ბისმუტის ფუძენიტრატი კარიესის დროს არხების დასამუშავებლად.
3. თიმოლის პასტა კბილის არხის დასაბუქენად. ღრმა კარიესის დროს.
4. ნატრიუმის ფტორიდი პასტაში, კბილის არხების დასაბუქენად.
5. დიმექსიდი ხსნარში პარადონტიტის აპლიკაციისათვის.
6. ლინკომიცინის ჰიდროქლორიდი პერიოსტიტის დროს ღრძილში შესაყვანად.
7. ქლორჰექსიდინის ბიგლუკონატი პარადონტიტის დროს ფესვის არხების დასამუშავებლად.
8. ციტრალი, სტომატიტის დროს პირში გამოსავლებად.
9. კალენდულის ნაყენი გინგივიტის დროს პირში გამოსავლებად.
10. ქლორფილიპტი ლიდოკაინთან ერთად წყლულოვან-ნეკროზული სტომატიტის დროს აპლიკაციისათვის.
11. ტრეპეზოლ-ფორმალინის პასტა.
12. „კალქსილი“-ს პასტა რეკალციფიკაციისათვის.
13. მეთილურაცილის სუსპენზია მეტრონიდაზოლთან ერთად, კბილ-ღრძილის ჯიბეში ჩასაფენად.
14. ანესთეზინის ხსნარი ზეთში პირის ღრუს ლორწოვანი გარსის გასაუმზარებლად.

## დაგალება 2

დაასაბუთეთ პრეპარატის, მისი სამკურნალწამლო ფორმის, დოზირების, კონცენტრაციის, შეყვანის გზის არჩევანი:

1. ადგილობრივი საანესთეზიო საშუალება, ამინების წარმოებული გამტარებელი და ინფილტრაციული ანესთეზიისათვის (სტომატოლოგიურ პრაქტიკაში).
2. რემინერალიზაციული თერაპიის პრეპარატები კარიესის სამკურნალოდ.
3. ჰალოგენებისა და დეტერგენტების თვისებების პრეპარატი, რომელიც გამოიყენება წყლულოვან-ნეკროზული და სოკოვანი დაავადების დროს პირის ღრუს გამოსავლებად.

4. არომატული რიგის ანტისეპტიკური ჯგუფის პრეპარატი, რომელიც გამოიყენება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში.
9. ნიტროფურანის წარმოებული, ანტისეპტიკური პრეპარატი, რომელიც გამოიყენება გინგივიტებისა და სტომატიტების დროს პირის ღრუში გამოსავლებად.
9. ფერმენტული პრეპარატი, რომელიც გამოიყენება აბსცესური პარადონტოზის და გენერალიზებული პარადონტიტის დროს.
9. ანტიბიოტიკი, რომელიც ინიშნება პერიოსტიტის დროს.
9. ვიტამინი A-ს წარმოებული, რომელიც გამოიყენება გინგივიტისა და სტომატიტის დროს პირის ღრუში გამოსავლებად.
9. ანტრანილის მჟავის წარმოებული, გამოიყენება პასტასა და ხსნარში პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებითი დაავადებების დროს.
9. ანტისეპტიკური პრეპარატი დამჟანგავების ჯგუფიდან პირის ღრუში გამოსავლებად გინგივიტებისა და სტომატიტების დროს.
9. მეოთხეული ამონიუმის ნაერთების წარმოებული, დეტერგენტი, რომელიც გამოიყენება მალამოში, ინჰალაციებსა, ხსნარებში გამოსავლებად.
9. პრეპარატი, რომელიც გამოიყენება პირის ღრუში ადგილობრივად კანდიდოზის დროს.
9. პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ადგილობრივად პირის ღრუს ინფექციებისას ჰერპესული დაზიანების დროს.

### **დავალება 3**

ტანინისა და სალბის ფოთლების რეაქცია ცილასთან.

ორ სინჯარაში ჩავასხათ 2 მლ ცილა, ერთში დავუმატოთ 2 მლ 1% ტანინის ხსნარი, მეორეში სალბის ფოთლების ნაყენი. შევადაროთ სამკურნალო საშუალებების და ცილის ურთიერთქმედების ხასიათი.

### **რეზერატის თმები:**

8. პარადონტოზის სამკურნალო საშუალებების ფარმაკოლოგია.
8. პირის ღრუს კანდიდოზების სამკურნალო საშუალებების ფარმაკოლოგია.
8. ლორწოვან-ნეკროზული სტომატიტების სამკურნალო საშუალებების ფარმაკოლოგია.

## სარჩევი

თემა №1 საექიმო რეცეპტურა. მკვრივი სამკურნალწამლო ფორმები-----	3
თემა №2 ობილი სამკურნალწამლო ფორმები-----	5
თემა №3 თხევადი სამკურნალწამლო ფორმები-----	8
თემა №4 თხევადი სამკურნალწამლო ფორმები-----	12
თემა №5 საკონტროლო სამუშაო – საექმო რეცეპტურა-----	20
თემა №6 ზოგადო ფარმაკოლოგია-----	24
თემა №7 ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები. შემკვრელი, შემომგარსველი, შშთანთქმელი, გამაღიზიანებელი საშუალებები-----	37
თემა №8 მ- და ნ-ქოლინომიმეტური, ანტიქოლინესთერაზული, ქოლინესთერაზის რეაქტივატორები, მ-ქოლინომიმეტური, მ-ქოლინოდამაკნინებელი საშუალებები-----	40
თემა №9 ნ-ქოლინომიმეტური, განგლიოდამაკნინებელი, მიორელაქსაციური, ცენტრალური ქოლინოდამაკნინებელი საშუალებები-----	43
თემა №10 ადრენორეცეპტორებზე მოქმედი საშუალებები-----	46
თემა №11 საკონტროლო სამუშაო – აფერენტულ და ეფერენტულ ინერვაციაზე მოქმედი საშუალებების ფარმაკოლოგია-----	50
თემა №12 სანარკოზე საშუალებები-----	56
თემა №13 ძილისმომგრელი, ეპილეფსიის საწინააღმდეგო, პარკინსონის საწინააღმდეგო საშუალებები. ეთილის სპირიტ-----	59
თემა №14 ნარკოტიული და არანარკოტიული ანალგეზიური საშუალებები-----	62
თემა №15 ნეიროლეფსიური, ტრანქვილიზური, სედატიური საშუალებები-----	66
თემა №16 ფსიქომოტორული სტიმულატორები. ანტიდეპრესიული, ანალეფსიური საშუალებები. ნოოტროპული პრეპარატები. დაპტოგენები-----	70
თემა №17 საკონტროლო სამუშაო – ცნს-ზე მოქმედი საშუალებების ფარმაკოლოგია-----	73
თემა №18 სუნთქვის მასტიმულირებელი საშუალებები. ხველის დამაშვიდებელი, ამოსახველებელი საშუალებები. ბრონქოლიზური საშუალებები. ფილტვის შეშუპების დროს გამოყენებული საშუალებები-----	70
თემა №19 კარდიოტონური საშუალებები. გულის გლიკოზიდები-----	82
თემა №20 სისხლის კონორალური უკმარისობის სამკურნალო საშუალებები. ანტიარითმული საშუალებები-----	85
თემა №21 ანტიპიპერტენზული და ანტისკლეროზული საშუალებები-----	88

თემა №22 საჭმლის მომნელებელ ორგანოებზე მოქმედი საშუალებები-----	91
თემა №23 თირკმლებსა და შარდოვანას ცვლაზე მოქმედი საშუალებები.	
მიომეტრიუმზე მოქმედი საშუალებები-----	96
თემა №24 სისხლის სისტემაზე მოქმედი საშუალებები-----	99
თემა №25 საკონტროლო სამუშაო – შემსრულებელ ორგანოების ფუნქციაზე მოქმედი საშუალებების ფარმაკოლოგია-----	103
თემა №26 ანტისეპტიკური და სადიზენფაქტო საშუალებები-----	109
თემა №27 ანტიბიოტიკები-----	114
თემა №28 სულფანილამიდური პრეპარატები, სხვადასხვა ქიმიური შენების ანტიმიკრობული საშუალებები, სოკოსსაწინააღმდეგო საშუალებები-----	118
თემა №29 ტუბერკულოზისსაწინააღმდეგო, ვირუსისსაწინააღმდეგო, სიფილისსაწინა-აღმდეგო პრეპარატები-----	121
თემა №30 პროტოზოოზის სამკურნალო საშუალებები. ჰელმინთოზისა და ჭიების საწინააღმდეგო საშუალებები-----	124
თემა №31 საკონტროლო სამუშაო – ანტიმიკრობული და ანტიპარაზიტული საშუალებების ფარმაკოლოგია-----	128
თემა №32 ვიტამინების პრეპარატები-----	134
თემა №33 პორმონალური პრეპარატები, მისი სინთეზური ანალოგები და ანტაგონისტები-----	137
თემა №34 ანთებისსაწინააღმდეგო საშუალებები. ალერგიის საწინააღმდეგო და ანტიპისტამინური პრეპარატები, იმუნომოდულატორები-----	140
თემა №35 ფერმენტული პრეპარატები, პრეპარატები რომლებიც მოქმედებენ წყალ-მარილოვან ცვლაზე. მჟავეები, ტუტეები-----	146
თემა №36 საკონტროლო სამუშაო – ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი საშუალებების ფარმაკოლოგია. სიმსივნისსაწინააღმდეგო საშუალებები – რადიოპრო-ტექტორები-----	151
თემა №37 მედიკამენტური საშუალებები და შხამებით მწვავე მოწამვლის მკურნალობის ძირითადი პრინციპები-----	157
თემა №38 სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალებები. რადიოპროტექტორები---	163
თემა №39 საშუალებები, რომლებიც მოქმედებენ პირის ღრუს ლორწოვან გარსზე, პულკაზე და კბილის მაგარ ქსოვილებზე-----	166

## ლიტერატურა

1. გ.თურმანაული, სამედიცინო ფარმაკოლოგია ფარმაკოთერაპიით. 1 და , 2გ. თბილისი, გამ-ბა " ცის ნამი", 2006.
- 2 ყ დ.ა. ხარკევიჩი, ფარმაკოლოგია. თბილისი, გამ-ბა „მთაწმინდელი“ 2008წ.
3. სახელმწიფო ფარმაკოპეა 1 და , 2გ. თბილისი 2003წ.
- 4 ყ Бертам Г. Катцунг. Базисная и клиническая фармакология. Пер. с английского, 1 и 2 т., М.: (Бином). Санкт-Петербург (Невский диалект), 2000.
5. Кудрин А. Н. Фармакология. М.: Медицина, 1991.
6. Фармакотерапия – клиническая фармакология. Практическое руководство. Перевод с немецкого, под. ред. Г. Фюльграффа и Д. Пальма. Минск, Белорусь, 1996.
7. Методические разработки к практическим занятиям по фармакологии. Ленинград, 1998.
8. Харькович Д. А. Фармакология. М.: Издательский дом, ГЭОТАР-МЕД, 2002.

## იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგნილი სახით

გადაეცა წარმოებას 28.05.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.06.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 11. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77



ი.მ. „გოჩა დალაქიშვილი“,  
ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, კორპ. 333, ბინა 38